„ხარს ვგევარ ნაიალღარს, რქით მიწასა ვჩხვერ ვბუბუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ.“ ვაჟა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ტრიბუნა

825
1979 /2

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№26 *PARIS. Troisieme trimestre. 1979* მესამე მეოთხედი. პარიზი. №26

გამოცემის მეექვსე წელი

Djobadze's Library

მესამე სვეტი

მკითხე და გეტყვი: რის თამარი,
ქართველის ცხოვრების რა ვიცი მეტი,
რისი ერეკლე, საქართველოსთვის
დავითი არის პირველი სვეტი.

მკითხე და გეტყვი, რომელი ვაჟა,
ან თუნდაც შოთა,–ამაზე მეტი?!

რისი აკაკი, საქართველოსთვის
ილია არის მეორე სვეტი!

გაღუნულია მწვანე ალვის ხე.
აწეწილია სამშობლოს ხედი.
ღმერთო გვაღირსე, ღმერთო გვაღირსე,
ღმერთო გვაღირსე მესამე სვეტი!

უცნობი ავტორი

შინაარსი

.2	აგვისტოს აჯანყების 55 წლისთავი	მოწინავე
.3	საბჭ. კავშირის მაერთიანებელი ძალები (გაგრძელება)	ელენ კარერ დ'ანკოსი
.8	ბიძინა კერატიშვილის გასამართლება	გიორგი წერეთელი
.11	სამშობლოს ქრონიკები	ზეინაბ ზურაბიშვილი
.12	ღაღადი, ტრანსლიტერაცია და მრავლობითი რიცხვი	გიორგი ჯაყელი
.15	კორნელი კეკელიძის 100 წლისთავი	გრიგოლ წერეთელი
.16	შალვა ნუცუბიძე	გოგი ლუბაშვილი
.17	ხელოვნის ხსოვნას	უნიპო შეგირდი
.18	მაქსიმ გორკი და ლენინი	რედაქცია
.19	ორი მეგობრის მოსაგონარი	გიორგი წერეთელი
.21	ქალბატონ ლიდია დონდუას გარდაცვალება	
.21	„საჭირო გასწორება“-ს გასწორება	გ. ქართველი
.23	განცხადება	„თ.ტ.“

DIRECTEUR: GEORGES TSERETELI. 8,RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL: 607.08.14

Edition hors commerce

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოს აჯანყების 55 წლისთავი

ამ ნომერს ვიწყებთ ქართველი ხალხის დიდმნიშვნელოვან ეროვნულ თარიღის,– *1924* წლის აგვისტოს აჯანყების მოგონებით. *55* წელი გვაშორებს იმ დღეებიდან, როცა ქართველმა ხალხმა არად ჩააგდო ცივი გონებით განსჯილი სიფრთხილის მოსაზრებები და რუსეთის მპყრობელობიდან განთავისუფლების მიზნით საყოველთაო სახალხო აჯანყების დროშა ააფრიალა. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყების ორგანიზაცია(დამკომი) სუსტი გამოდგა და აჯანყება წინასწარ გაცემული, ქართველი ხალხის რევოლუციური აღტკინება ისე ძლიერი იყო, რომ საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში აჯანყებულებმა მაინც ხელთ იგდეს სრული ძალაუფლება ადგილობრივი საბჭოთა მმართველების, პოლიციელების და კომუნისტების დაპატიმრების შემდეგ.

ნათქვამია: **ზოგიერთი დამარცხება ბევრ გამარჯვებას სჯობიაო.** ამის ნათელსაყოფად კრწანისის ბრძოლაც საკმარისია. მიუხედავად დამარცხებისა, ის შევიდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, როგორც ქართველი კაცის ბუნებით მამაცობისა და სამშობლოსთვის თავდადების მაგალითად და გაკვეთილად. ასევე *1924* წლის აგვისტოს აჯანყება ხასიათდება უმწიკვლო რაინდობით და კეთილშობილებით(არავითარ შურისძიებას, ხოცვა-ჟლეტას აჯანყებულების მხრით ადგილი არ ჰქონებია), ნამდვილი პატრიოტიზმით და მამულისთვის უანგარო თავდადებით.

აჯანყება დამარცხდა... მაგრამ მასზე მუდამ ილოცებენ ჩვენი ერის თაობები, სამაგალითო, მისაბაძ მაგალითად ეყოლებათ მასში მონაწილე და დაღუპული მამულიშვილები, რადგანაც ამ შეუპოვარი აჯანყებით, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე, ქართველმა ხალხმა მსოფლიოს უჩვენა, რომ საქართველო რუსეთი არ არის, რომ ქართველობა არავითარ მსხვერპლის წინაშე უკან არ დაიხევს დღეს ისევე დაიცვას რუსებისაგან თავისი ეროვნული განსხვავებულება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, როგორც ამას გუშინ ჩვენი წინაპრები სჩადიოდნენ აღმოსავლეთის და დასავლეთის სხვა დამპყრობელების მიმართ.

გამარჯვებული საბჭოთა ხელისუფლება მხეცურად გაუსწორდა აჯანყებას. პირუტყვების ვაგონებში ჩამწყვდეული ბრალიანი და უბრალო მოსახლეობის ამოჟლეტა, საპატიმროებებიდან ღამღამობით ასობით გაყვანილი და გაუსამართლებლად დახვრეტილი მამულიშვილების უმანკო სისხლი წარუხოცელ სამარცხვინო ღაქად აჩნია საბჭოების უამისოდაც სისხლიან დროშებს.

აჯანყებულებიდან ვინც მაშინ გადარჩა და თავს უცხოეთში გამოხიზვნით არ უშველა, სტალინ-ეჟოვ-ბერიამ, მოგვიანებით, *1934-38* წლებში გააჟლო მუსრი, ისევე გაუსამართლებლად, უწყალოდ და უანგარიშოდ. ყველა მათ საფლავებს მადლიერი ერისაგან გაპატიოსნება და თაყვანება ესაჭიროებათ. ხოლო, იმ გმირული გამოსვლების მონაწილეებიდან, რომლებიც დღეს კიდევ ცოცხლები არიან და ჩვენთან ერთად კვლავ სამშობლოს სადღეგრძელოდ მოღვაწეობენ სამშობლოში თუ გადმოხვეწილობაში, მათი მომყოლი თაობის სახელით მადლობას მივუძღვნი და ვუსურვებ ჯანმრთელ სიცოცხლესთან ერთად მოსწრებოდნენ იმ საქმის გამარჯვებას, რომლისთვისაც მათ ამ *55* წლის წინად თავიანთი ჭაბუკური სისხლის გაღება არ დაინანეს.

აგვისტოს აჯანყებიდან ბევრი დიდმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება. ამჟამად მხოლოდ იმ ერთით დავკმაყოფილდეთ, რომელიც ყველაზე აქტუალური და საჭიროა: მარქსისტი თუ არამარქსისტი სოციალისტი, ეროვნული დემოკრატი თუ უპარტიო მამულიშვილი გვერდიგვერდ იბრძოდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ერთად დაეცნენ ბრძოლის ველზე, ერთად ეწამენ საპატიმროებში და გადასახლებებში, ერთად გადაიტანეს და იტანენ გადმოხვეწილების მძიმე ხვედრს, მიუხედავად იმისა, რომ თვითეულ მათგანს ჰქონდა თავისებური შეხედულება საქართველოს სახ. წყობილებაზე, სოციალურ და ეკონომიურ ფილოსოფიაზე, წარსულის დაფასებაში და მომავლის წარმოდგენაში. ამას ეწოდება საბრძოლო ძმობა-მეგობრობა და ამ საერთო ბრძოლის ძმობა-მეგობრობით უნდა ვიხელმძღვანელოთ დღესაც. არ უნდა დავემონოთ პიროვნულ, ჯგუფურ ან პარტიულ დემონებს. პირადი განცდები დავუმორჩილოთ ცივი გონების განსჯას. ნუ გამოვუშვებთ მხედველობიდან, **რომ მთელი ეროვნული ძალების მობილიზაციის გარეშე არ არსებობს ქართველი ერის ხსნა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის მაერთიანებელი ძალები: პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თ.ტ." №25)

ფედერალიზმის რეალობა

თუ მოვშორდებით მომავლის პერსპექტივებს, რომლებიც ჩაწერილი არიან კონსტიტუციაში, რათა გამოვარკვიოთ დღევანდელი რეალობა პოლიტიკური სისტემისა, უნდა ხაზი გავუსვათ: სახელმწიფო არის და რჩება ერების თანაბარი მონაწილეობის საკუთრება ხელისუფლებაში ორ დონეზე: ცენტრში და მოკავშირე ან ავტონომიურ რესპუბლიკებში.

როგორ ხორციელდება ეს პოლიტიკური თანასწორობა პრაქტიკაში?

ცენტრში, სსრკ-ს უმაღლესი საბჭო არის, კანონით, სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანო. ერები იქ წარმოდგენილი არიან თანაბარზე მეტი რაოდენობით. *1970* წელს არარუსი ერები, რომლებიც მცხოვრებლების *26,1* პროცენტს შეადგენდენ ეკავათ *40,3* პროცენტი ადგილი. მაგრამ, როგორც კი მოვბრუნდებით იმ ორგანოებისაკენ სადაც იმყოფება რეალური ხელისუფლება სახელმწიფოსი – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, სახელმწიფო კომიტეტები – მდგომარეობა იცვლება. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში, რომელიც მუდმივი ორგანოა მეტად ეპიზოდური პარლამენტის, თავმჯდომარე, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის როლს ასრულებს, მუდამ იყო სლავი, გარდა მიქოიანისა(*1964 - 65*). სსრკ-ს მინისტრთა საბჭოში რუსების წილი, დაუფრო ზოგადად სლავების, არის გამსრესი, რადგანაც ისინი განაგებენ *90%* თანამდებობებისას და ისინი მუდამ ასრულებენ მის თავმჯდომარეობას(გამონაკლისია სტალინი, მაგრამ ის ისე არ ჩაითვლება ეროვნებების წარმომადგენლად როგორც მიქოიანი). იგივე მდგომარეობაა სახელმწიფო კომიტეტებში, რომელთა კომპეტენცია ერთდაიმავე დროს იმყოფება ცენტრში და რესპუბლიკებში(მაგალითად სახ. უშიშროების კომიტეტი, სახ. გეგმის კომიტეტი და სხვა.)

ეროვნებათა პოლიტიკური ხელმძღვანელების ასეთი არასაკმარისი წარმომადგნლობა ცენტრში, მათ უკრძალავთ რუსებთან თანაბრად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

სამაგიეროდ, რესპუბლიკების სახელმწიფოთა ხელისუფლებები მთლიანად არიან შესაბამის ეროვნებების წარმომადგენლების ხელში? აქაც, თეორია და პრაქტიკა მთლად ერთმანეთს არ ემთხვევა. ყოველგვარი ეჭვის გარეშე საკრებულოები და მთავრობები რესპუბლიკებისა გამოხატავენ მათში მცხოვრებ ხალხების შემადგენლობას. როცა მხედველობაში გვაქვს სხვადა სხვა რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები – უმაღლესი საბჭო, მინისტრთა საბჭო – ყველგან აღებულ ერის წარმომადგენლებს უკავიათ ყველა თანამდებობები. რუსების რიცხვი იქ მცირეა, ხშირად სრულებით არ არის. კიდევ მეტი, როცა სტალინის დროს ზოგიერთი ძირითადი თანამდებობები –შინაგანი სამინისტრო, სახ. უშიშროების – ეკავათ რუსებს, დღეს ეს თანამდებობებიც უკავიათ ეროვნებათა წარმომადგენლებს. მაგალითად უკრაინაში *1977* წელში შინაგან საქმეთა მინისტრია ივან გოლოვჩენკო და ს.უ. კომიტეტისა ვიტალი ფედორჩუკი, წმინდა უკრაინული წარმოშობის გვარები. ლატვიაში შინაგანი სამინისტრო ეკუთვნის იანის ბროლიშს და ს.უ.კ-ისა კი ლონენ ავდიუკევიჩს, ლიტვური გვარების წარმომადგენლებს და ა.შ. სხვა რესპუბლიკებშიც. მაგრამ საშიშია აქედან გამომდინარე ნაჩქარევი დასკვნის გამოტანა რესპუბლიკების ხელისუფლებაში რეალური ავტონომიის საფეხურის შესახებ. მრავალი მონაცემები გვიჩვენებენ რესპუბლიკების მმართველობის ავტონომიის საზღვრებს. პირველ რიგში, საჭიროა ითქვას, რომ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, რომლებიც სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს მსგავსად, არიან, კანონით, მთელი სახელმწიფო ხელისუფლების მქონენი; დეპუტატებად იქ , ყოველი ეჭვის გარეშე, იმ ერების წარმომადგენლებია, რომლებიც მათ ირჩევენ და პრეზიდიუმებში, რომლებსაც ეს საკრებულოები ირჩევენ, წარმოდგენილი არიან იგივე ეროვნებების წარმომადგენლები. მაგრამ პოლიტიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები სსრკ-ის უმაღლეს საბჭოების მიმართ უმდაბლესები არიან. ამის დამადასტურებელია, უპირველესად, დრო; რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიები ყოველთვის მიმდინარეობენ სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს მოწვევის შემდეგ, რაც მოასწავებს, რომ მათი სხდომები

იმეორებენ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკვე მიღებული იყვნენ მოსკოვში. სსრკ-ის უმაღლეს საბჭოს რომ სურდეს რესპუბლიკების საბჭოების გაძლიერება და მათი გადაწყვეტილებების მხედველობაში მიღება, მაშინ ამ საკრებულოთა მოწვევის რიგი პირიქით უნდა ხდებოდეს, ე.ი. ჯერ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და შემდეგ სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს სესია. ამ მდგომარეობას აღნიშნავს პრესაც. ის გაცილებით მეტ ადგილს უთმობს სსრკ-ს უმაღლეს საჭოს სხდომებს, ვიდრე რესპუბლიკებისას და ეს ითქმის არა მარტო ცენტრის პრესაზე, არამედ აგრეთვე რესპუბლიკების პრესებზედაც. ყველა ეს მონაცემები გვარწმუნებს,რომ მნიშვნელოვანი დადგენილებები იღება ცენტრში და, რომ რესპუბლიკების საკრებულოები ემსახურებიან მათ გახმიანებას.

ეროვნებათა ხელისუფლების მეორე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სამინისტროების პასუხისმგებლობის განაწილება ცენტრსა და პერიფერიას შორის. როცა ვაკვირდებით რესპუბლიკების მთავრობების შემადგენლობას, თვალში გვეცემა ის დიდი შეუფარდებლობა, რომელიც არსებობს საკავშირო და რესპუბლიკურ ხასიათის სამინისტროებს შორის. ფედერაცია თავის საქმიანობას ანხორციელებს მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე ფედერაციულ(საკავშირო)–რესპუბლიკური სამინისტროების და სახელმწიფო კომიტეტების საშუალებით, რომლებიც ემორჩილებიან ორ ავტორიტეტს, შესაბამის ცენტრალურ ორგანოს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. რომელი რესპუბლიკაც არ უნდა ავიღოთ მაგალითისთვის, ვრწმუნდებით, რომ, რაც სამინისტროებს შეეხება, განაწილება დაახლოებით ასეთია: დაახლოებით ოცი სამინისტრო საკავშირო-რესპუბლიკური ხუთ რესპუბლიკურ სამინისტროზე. ორმაგ ავტორიტეტს დაქვემდებარებული სამინისტროების დიდრიცხობრივ წონას ემატება აშკარა უთანაბრობა საქმის მნიშვნელობისა რომელიც მათ აკისრიათ. ყველა მნიშვნელოვან დარგს ხელისუფლებისას აწარმოებენ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები. მაგალითისთვის ავიღოთ ბელორუსია *1977* წელში. საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები იქ იყვნენ: აგრიკულტურის, კავშირგაბმულობის, ინდუსტრიის ხელსაწყოთა აღმშენებლობის, კულტურის, განათლების, საფინანსო, კვების ინდუსტრიის, საგარეო საქმეების, ტყის, ჯანმრთელობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ინდუსტრიული აღმშენებლობის, ბინათმშენებლობის, სამართლის, მიწის ზედაპირის და წყლების, მსუბუქი ინდუსტრიის, ხორცის და რძის პროდუქტების, მარაგის და მომარაგების, სასოფლო აღმშენებლობის, ტყის და ხის გადამმუშავებელი ინდუსტრიის და ვაჭრობის სამინისტროები.

წმინდა რესპუბლიკური სამინისტროები საწინააღმდეგოდ შემოფარგლური არიან ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებით: გზების მშენებლობის და მათით სარგებლობის, კვების, ბინის და კომუნალური მომსახურეობის, ადგილობრივი ინდუსტრიის, საავტომობილო ტრანსპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, ტორფის ინდუსტრიის სამინისტროები. მცირე განსხვავებით ყველა რესპუბლიკას აქვს სახელმწიფოს ორგანიზაციის ასეთივე სქემა. ესტონეთში საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებია *19*, რესპუბლიკური *5*. ლატვიაში *20* სამინისტრო საკავშირო-რესპუბლიკურია, *5* რესპუბლიკური. უკრაინაში *28* სამინისტრო საკავშირო-რესპუბლიკურია, *6* სამინისტრო რესპუბლიკური. ორმაგ კონტროლის ქვეშ მყოფ სამინისტროების განსხვავებულობა სხვადასხვა რესპუბლიკებში განპირობებულია ქვეყნის ეკონომიური თავისებურებით(უკრაინაში სახელმწიფო ფერმების, წყლის ენერგიის და რკინის მეტალის დამუშავებას ექცევა განსაკუთრებული ყურადღება, ხოლო შუა აზიის რესპუბლიკებში ირიგაციის საქმეს), ამ განსაკუთრებულ შემთხვევებში საჭიროა განსაკუთრებული სამინისტროები, რომლებსაც არ ვხვდებით ყველა დანარჩენ რესპუბლიკებში. სამაგიეროდ რესპუბლიკების კომპეტენცია ნათლად არის განსაზღვრული და ის სრულიად უმნიშვნელოა: ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, სოციალური უზრუნველყოფა, ადგილობრივი ტრანსპორტი, კვების მომსახურეობა და მუნიციპალური სამსახური. ცვლილებები ერთი რესპუბლიკიდან მეორეში უმნიშვნელოა.

ცენტრის წონას პერიფერიული რესპუბლიკების მიმართ კიდევ უფრო აძლიერებენ სახელმწიფო კომიტეტები, რომლებიც,აგრეთვე, ძლიერ მრავალრიცხოვანნი არიან. *1977* წ. ბელორუსიაში *15* სახ. კომიტეტია. აქედან: *12* დაქვემდებარებულია ორმაგ ავტორიტეს, სსრკ-ს და ბელორუსიის მინისტრთა საბჭოებს, და მხოლოდ სამი დამოკიდებულია უშუალოდ ბელორუსიის ს.რ-ს მინისტრთა საბჭოს. ორმაგ ავტორიტეტს დაქვემდებარებული სახელმწი-

ფო კომიტეტებია: გეგმის, მშენებლობის, სახალხო კონტროლის, კინოს, გამომცემლობის, ბეჭდვის და გავრცელების, რადიო-ტელევიზიის, ფასების, შრომის, პროფესიონალური ტექნიკური სწავლების, უშიშროების(კ.გ.ბ.), ტექნიკის და სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღით უზრუნველყოფის და სტატისტიკის.

– მხოლოდ რესპუბლიკის ავტორიტეტს დაქვემდებარებულია: ბუნების დაცვის, ტექნიკური და მატერიალური მომარაგების და გაზით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტები.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო კომიტეტები განაწილებულია იმავე პრინციპით როგორც სამინისტროები და მხოლოდ რესპუბლიკის გამგებლობაში დატოვებული საქმეები არიან, ერთ და იმავე დროს, მცირერიცხოვანნი და მცირემნიშვნელოვანნი. აქაც, ერთი რესპუბლიკიდან მეორეში მდგომარეობა უცვლელია.

აქ საჭიროა რამოდენიმე შენიშვნის გაკეთება. უპირველესად, თუ *1936* წ. კონსტიტუცია და განსაკუთრებით ახალი არ განსაზღვრავს ზუსტად ფედერაციულ და რესპუბლიკურ გამგებლობაში მყოფ საქმეებს, ცხადია, რომ პრაქტიკაში ხელისუფლება მუდამ მოქმედობდა საკავშირო კომპეტენციის გასაძლიერებლად და მისი საკუთრების გასაფართოებლად. ეს განსაკუთრებით ცხადია კონსტიტუციის იმ ორი მუხლის განხილვით, რომელიც დამატებულ იქნა *1944* წელს, და, რომელიც თითქოს ეროვნებების სუვერენობის გამოჩენას ემსახურება სსრკ-ში: უფლება ეროვნული არმიების ყოლისა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის ქონებისა. ნაციონალური არმიების ყოლის უფლებრივი მუხლი ცხოვრებაში არასოდეს არ ყოფილა განხორციელებული, რადგანაც ის წინააღმდეგი იყო არსებულ სამხედრო კანონების და ის კიდევაც ამოღებულ იქნა *1977* წლის კონსტიტუციიდან. რაც შეეხება საგარეო საქმეთა პოლიტიკას, ზოგიერთი რესპუბლიკა ცდილობს ჰქონდეს თავისი. უკრაინა და ბელორუსია სარგებლობენ თითო-თითო ადგილით გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებშიაც არიან წარმოდგენილი. აღმოსავლეთ ევროპის ყველა სოციალისტურ სახელმწიფოს(იუგოსლავიის ჩათვლით, მაგრამ აღბანეთის გამოკლებით) ყავს საკონსულო კიევში, მაშინ, როცა კუბას, ინდოეთს და ეგვიპტეს ყავთ ქ. ოდესაში. საერთოდ კიევში და ოდესაში მყოფი საკონსულოები იქ არიან საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმებით და არა უკრაინის მთავრობის ნებართვით. *1970* წლის დასაწყისში უკრაინის ვაჭრობის მინისტრმა ხელი მოაწერა სავაჭრო ხელშეკრულებას პოლონეთთან, რუმინეთთან და უნგრეთთან, მაგრამ აქაც საკითხი ეხებოდა მცირე მნიშვნელობის და მცირერიცხოვან გარიგებებს. საერთოდ კი უკრაინა თავის საერთაშორისო საქმეებს უთმობს, ან იძულებულია დაუთმოს სსრკ-ს მთავრობას. მხოლოდ ხანდახან ის თავად უშუალოდ ასრულებს მას; კანადის შემთხვევაში, სადაც უკრაინელების მრავალრიცხოვანი კოლონიაა, საბჭოთა საელჩოში მსახურობს ბევრი უკრაინული წამოშობის დიპლომატი. სხვა რესპუბლიკებიდან, მხოლოდ ესტონეთი სარგებლობს საერთაშორისო სარბიელზე ცოტა უკეთესი სტატუსით, რადგანაც მას შეუძლია მეზობელ ფინეთთან შედარებით თავისუფალი ურთიერთობა, რომელთანაც მას აქვს კულტურული ნათესაობა. ეს იშვიათი კავშირები რესპუბლიკებისა სსრკ-ს გარეშე მყოფ ქვეყნებთან არ მოწმობენ მათ განსაკუთრებულ საგარეო პოლიტიკას, პირიქით ისინი გვიჩვენებენ სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკების ავტონომიის ძალიან დაბალ დონეს.

მეორე შემთხვევა ეხება სულ ახალ მიდრეკილებას საკავშირო ხელისუფლების სარბიელის გაფართოებისას ადმინისტრაციული მეთოდით, და ეს *25*-ე ყრილობის დადგენილების საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვდა კომპეტენციის გადატანას ცენტრიდან რესპუბლიკების განკარგულებაში. ამ ძირითადი დადგენილების საწინააღმდეგო პრაქტიკის საჩვენებლად კარგი მაგალითია ის, რომ *1976* წელში, შრომის და ხელფასების კომიტეტი, რომელიც მანამდე, როგორც სხვა კომიტეტები, წარმოდგენილი იყო რესპუბლიკებში და ემორჩილებოდა ორმაგ ავტორიტეტს –ცენტრისას და რესპუბლიკებისას. ამავე დროს ბევრ რესპუბლიკაში არსებობდა კომიტეტი მხოლოდ ადგილობრივი გამგებლობის, რომლებიც მუშაობდნენ რესურსების და მუშახელის გამოყენების საკითხებში. ასეთი დაყოფა საქმიანობისა– შრომის საერთო პრობლემის ცენტრალიზაცია და მუშახელის პრობლემის დეცენტრალიზაცია– მიმატებული, რომ ფაქტიურად სოც. უზრუნველყოფა მუდამ იყო რესპუბლიკების განკარგულებაში ხელს უწყობდა მათთვის პირად გამგებლობაში ისეთი საქმეების დატოვებას, რო-

მლებშიც რესპუბლიკებს შეეძლოთ თავიანთი ავტორიტეტის მცირეოდენი წარმოება.

1976 წელს ეს კომიტეტი იქნა რეორგანიზებული, რომელიც ოფიციალურად კითხვის ქვეშ აყენებს მის წინანდელ ორმაგ ავტორიტეტთან დამოკიდებულებას, მაგრამ ის კითხვის ქვეშ აყენებს რესპუბლიკების გამგებლობის საკითხებას ამ საქმეში. მართლაც, ეს კომიტეტი გადაიქცა შრომის და სოციალურ საკითხების კომიტეტად, რაც მას აძლევს გაცილებით მეტ თვისებებს, ვიდრე მას ჰქონდა წარსულში, რადგანაც ხელფასებს ახლა ემატება მუშახელის განაწილება, თანამდებობების საკითხები და შეიძლება, მაგრამ აუცილებელი არ არის, სოციალური უზრუნველყოფაც.

გასაგებია ასეთი რეფორმის საჭიროება. მანამ სანამ საბჭოთა კავშირში მუშახელი უხვი იყო და მათი სრული გამოყენებაშესაძლებელი, სავარაუდებელი იყო, რომ ყველა წამოჭრილი საკითხი ადგილობრივ მოგვარდებოდა, მაგრამ დემოგრაფიული სხვადასხვაობა დღეიდან სავალდებულოს ხდიან მუშახელის გამოყენების საკითხები, მათი გეოგრაფიული განაწილების და თანამდებობების საკითხები გადაიჭრას საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირისთვის, მოსკოვში. არცერთ რესპუბლიკას ცალკე აღარ შეუძლია გადაწყვიტოს არც მუშახელის მომარაგების, არც კაპიტალური დაბანდებების საკითხები. მუშახელის საკითხების ცენტრალიზაციის საჭიროება ცხადია, მაგრამ ამ რეფორმის შედეგიც ცხადია აგრეთვე: წმინდა რესპუბლიკური სამინისტროების ან სამმართველოებების საჭიროება აღარ არსებობს. და ამრიგად კიდევ უფრო კლებულობს რესპუბლიკების პირად განკარგულებაში მყოფი საქმეები, და ეს მაშინაც, როცა ამას ამართლებს ეკონომიკის რაციონალობა. ამ საკითხში საქმე გვაქვს უეჭველად ცენტრალიზაციის გაძლიერებასთან, რომელიც ახლო მომავლის საჭიროებით არის გამოწვეული. მაინც შეუძლებელია უარყოფა, რომ ცენტრალიზაციის ამ შემთხვევაში გაძლიერება არცერთ სხვა დარგში არ არის ანაზღაურებული გამგებლობის გადატანით ცენტრიდან რესპუბლიკებში. ეს რეფორმა თავსდება საბჭოთა ხელისუფლების იმ საერთო მიდრეკილებაში, რომელიც მდგომარეობს კავშირში შემავალ რესპუბლიკების სახელმწიფო წყობილების გაქრობაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზაციაში, მის ცენტრში და შემადგენელ რესპუბლიკებში, ამ სწრაფი ჩაყვინთვის შემდეგ შეგვიძლია ორი დასკვნა გავაკეთოთ: პირველი, სტალინის დროსა და ახლანდელს შორის არის ძალიან დიდი განსხვავება იმ საკითხში, რომელიც ეხება წილს რესპუბლიკებისას კავშირის საერთო პოლიტიკაში. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ეს წილი ერთი და იგივე არ არის ცენტრში და პერიფერიებში. საკავშირო დაწესებულებებიდან, ერები კარგად არიან წარმოდგენილი უმაღლეს საბჭოში, მაგრამ უმნიშვნელოდ არიან წარმოდგენილი ხელისუფლების და ადმინისტრაციის ორგანოებში. საწინააღმდეგოდ, რესპუბლიკებში ყველგან არიან ეროვნული კადრები. ადგილი აღარ აქვს, როგორც წარსულში, რუსების ჩაყენებას ხელისუფლების ორგანოებში. განსაკუთრებით აღარ არსებობს განსაკუთრებული პოსტები, რომლებიც არ შეეძლოთ ეკავოთ არარუსებს. ყველა თანამდებობა რესპუბლიკებში შეუძლია ეკავოს და კიდევაც უკავია აღებულ ეროვნების წარმომადგენლებს.

მეორე დასკვნა, რომელიც საწინააღმდეგოა პირველის, რუსების დიდი უმრავლესობა ცენტრალურ ხელისუფლებაში და ცხადი უწონასწორობა – და მზარდი პერიფერიაში – საკავშირო და რესპუბლიკების გამგებლობაში მყოფ საქმეების, რასაც მოწმობს სამინისტროების აგებულობა, გვიჩვენებენ, რომ გადაწყვეტილებები, პოლიტიკური ხასიათისა, არიან ძირითადში ცენტრალიზებული და მაშასადამე ის არ არის არარუსების ხელში. საბჭოთა პოლიტიკის და ეკონომიკის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ გადაწყვეტილება არის ცენტრალური ხელისუფლების საქმე, რომელიც მცირე ადგილს უთმობს არარუსებს, მაშინ, როცა ეროვნებებს აქვთ მათ შინ თითქმის მხოლოდ მათ განკარგულებაში გატარება ანუ განხორციელება იმ გადაწყვეტილებების, რომლებიც მათ არ მიუღიათ.

ეს დიდი დაშორება ცენტრის გადაწყვეტილებას და მის შესრულებას შორის ხსნის იმ სამინისტროების და კომიტეტების მნიშვნელობას და სიმრავლეს, რომლებიც დაქვემდებარებული არიან შესაბამის ორგანოებთან მოსკოვში. სწორედ ეს დაქვემდებარება ემსახურება ეროვნულ კადრებზე კონტროლს. აქედან ვხედავთ იმ ცვლილებას, რომელიც კონტროლმა განიცადა სტალინის შემდეგ. სტალინის დროს კონტროლი წარმოებდა ადამიანების საშუალებით. რუსები იმყოფებოდნენ გასაღებ თანამდებობებზე და ისინი უშუალოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწარმოებდნენ კონტროლს ეროვნებათა სახელმწიფო აპარატებზე. მისმა მემკვიდრეებმა არჩიეს ეს პირდაპირი და ღია კონტროლი შეეცვალათ უფრო ადმინისტრატიული კონტროლით, რომელიც გამომდინარეობს აპარატების ურთიერთ დამოკიდებულებიდან. დიდი უხერხულობის ანუ რისკის გარეშე, შესაძლებელია მთავარი დარგების მინდობა ეროვნულ კადრებისადმი იმ შემთხვევაში თუ ისინი პასუხისმგებლები არიან არა მარტო თავიანთ მთავრობის წინაშე, არამედ აგრეთვე ცენტრალურ ადმინისტრაციის წინაშეც, რომელიც მოსკოვში იმყოფება და, რომელზეც საბოლოო ანგარიშით ის არის დამოკიდებული, რადგანაც საკავშირო და რესპუბლიკების მთავრობებს შორის უთანხმოების შემთხვევაში არავითარი არბიტრაჟი არ არსებობს მათ შორის უფლებამოსილების შესახებ და ყოველთვის ცენტრის გადაწყვეტილება იმარჯვებს რესპუბლიკისაზე. -

ეს მდგომარეობა არ შეიძლება არ იწვევდეს დაბრკოლებებს. რესპუბლიკების კადრები მუდამ მზად არიან იყვნენ მხოლოდ ამსრულებლები იმ პოლიტიკის, რომელიც გამომუშავებულია უმაღლეს დონეზე? რესპუბლიკების ელიტები მუდამ თანახმა არიან დაუშვან, რომ მათი მთავრობები იყვნენ მხოლოდ მეორე დონეზე პასუხისმგებლობაში და განიცდიდნენ ცენტრის ვერტიკალურ კონტროლს, რომელიც განუწყვეტლივ ზღუდავს რესპუბლიკების უფლებრივ სუვერენობას? ცხადია, რომ არსებობს საბაბები უთანხმოების და თვით განხეთქილებისაც. თუ ეს უთანხმოება ან განხეთქილება მხოლოდ აქა-იქ მეღავნდება, ე.ი. თუ მას საყოველთაო ხასიათი არ აქვს, ეს იმიტომ, რომ ცენტრალური ადმინისტრაციის ვერტიკალურ კონტროლს აძლიერებს პარტიის უფრო პირდაპირი და ეფექტიური კონტროლი.

პარტიის როლის შესახებ შემდეგ ნომერში.

ელენ კარერ დ'ანკოს

საბჭოთა საქართველოს მმართველობა

გასულ წელში, საქ. სსრ-ის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ, *30* დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა კანონი **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ.** საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ქმნის საქ. სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები.

მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობების მიხედვით შედიან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

– საქ. სსრ მინისტრთა საბჭო ურთიერთ მოქმედებს სსრ კავშირის სამინისტროებთან, სახელმწიფო კომიტეტებთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქვეუწყებო სხვა ორგანოებთან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ამ ორგანოების კომპეტენციის განხორციელებისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, უმნიშვნელოვანესი კომპლექსური საერთო-სახელმწიფოებრივი, სადარგთაშორისო და რეგიონალური პროგრამების შესრულებისას.

სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ყოველდღიური კავშირურთიერთობის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებობს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენლობა.

საქ. სსრ საკავშირო–რესპუბლიკური სამინისტროები:

განათლების, დამზადების, ვაჭრობის, იუსტიციის, კავშირგაბმულობის, კვების მრეწველობის, კულტურის, მელიორაციის და წყალთა მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, საგარეო საქმეთა, სასოფლო მშენებლობის, სატყეო მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, ხე-ტყის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, ხორცისა და რძის და ჯამრთელობის დაცვის სამინისტროები. სულ *21* სამინისტრო საკავშირო-რესპუბლიკური ხასიათის.

საქ. სსრ რესპუბლიკური სამინისტროები:

ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საავტომობილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზების, საავტომობილო ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები. სულ 6 რესპუბლიკური სამინისტრო.

საქ. სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები:

საგეგმო, მშენებლობის საქმეთა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, შრომის, ფასების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, კინომატოგრაფიის, გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის; სულ 11.

საქ სსრ რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტები:

მეცნიერების და ტექნიკის, ბუნების დაცვის. სულ 2.

ბიძინა კერატიშვილის გასამართლება

„თ.ტ." №23-ში სათაურის „საქ. ეკლესიის აღორძინება?" ქვეშ ვიუწყებოდით: „საქართველოდან მიღებული შეუმოწმებელი ცნობების მიხედვით მიტროპოლიტი გაიოზი, სამოქალაქოში ბიძინა კერატიშვილი დაპატიმრებული უნდა იყოს თქვა." საბ. საქართველოს ოფიციალური პრესა დღემდე დუმდა ამ საკითხზე და არც ჟურნალ „სამშობლოს" გამოუჩენია ენაწყლიანობა. მხოლოდ ა.წ. 22 მაისის გაზ. „კომუნისტიდან" რედაქტორის სვეტის გულდასმით წაკითხვის შემდეგ, მკითხველს შეუძლია გაიგოს, რომ ადგილი ჰქონებია ბიძინა კერატიშვილის, ამ „ხუცესად ნაკურთხი ავაზაკისა და ყაღთაბანდის" გასამართლებას. რედაქტორი მკითხველს ჰპირდება: „ამ დღეებში საკასაციო ვადის გასვლისთანავე, პრესა ოფიციალურ ცნობას მიაწვდის მოსახლეობას"-ო, ხოლო რედაქ. ბედნიერშვილი კი ამ წერილში ერთი არაკის მსგავსად მოიქცა: უგნურმა კაცმა დაუღლილი ხარ-კამეჩი გუთანს უკანიდან რომ გაუბა. როგორც ის უგნური უხვ მოსავალს ვერ მოიმკიდა, ისე „კომუნისტის" რედაქტორი მისი შეგონების ნაყოფს არ უნდა მოელოდეს, რადგანაც, ჯერ ერთი, საზოგადოება საქმის ვითარებაში არ არის, და მეორეც, კერატიშვილის საქმე უბრალო მოქალაქეების ბრალი კი არ არის, როგორც წერილის ავტორს სურს წარმოადგინოს, არამედ ეს არის საბჭოთა რეჟიმის, საბჭოთა მთავრობის კიდევ ერთი ბოროტება და ამიტომ მისი სრული პასუხისმგებლობაც მასვე უნდა მოეთხოვოს. აქვე უნდა დავძინო: საერთოდ კარგი კალმოსანი, ბატონი ბედნიერშვილი ამ სტატიაში დაბნეული და უხერხული ჩანს; არ ვიცი რატომ სურს მკითხველებს დაუმტკიცოს, რომ ღამაზი ქალის მკერდზე დაკიდებული ძვირფასი ჯვარცმა არამც და არამც არ შეიძლება განძად იწოდოს, განძად ქცევისთვის თურმე სავალდებულო ყოფილა, რომ ის იყოს: ან საერთო საკუთრება, ან დადებული ეკლესიაში, ან დაფლული მიწაში და სხვა ამგვარი უსუსური შეგონებანი. ბატონი ბედნიერშვილი მის მიერვე დასმულ სამართლიან კითხვებს პასუხს ვერ აძლევს და საცოდავად წვალობს, რომ სასაცილო მდგომარეობიდან თავი დაიძვრინოს. მაგრამ მოვეშვათ „კომუნისტის" რედაქტორს და დავუბრუნდეთ კერატიშვილის სასამართლოს.

დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ, 13 ივნისის „კომუნისტში" დაიბეჭდა რედაქტორის მიერ დაპირებული ოფიციალური ცნობა „საქინფორმის" საგენტოს კორესპონდენტის ბ. კ. ამაღლობელის მიერ ხელმოწერილი, რომლის სათაურია „ანაფორის საფარველით". ამ მისხლობით აწონილ კომუნიკედან მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილებს სიტყვასიტყვით: „თბილისის საქალაქო სასამართლო კოლეგიამ: აღ. ალადაშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულები: გ. ბერძენიშვილის, მ. გამცემლიძის, პროკურორ ნ. ამბოკაძის, საზოგადოებრივი ბრალმდებლის, ცხუმ- აფხაზეთის მთავარი ეპისკოპოსის ნიკოლოზ მახარაძისა და ადვოკატ ვ. ველიაშვილის მონაწილეობით, სხდომის მდივნის ი. ილურიძის თანდასწრებით, განიხილა კერატიშვილის სისხლის სამართლის საქმე და მიუსაჯა მას თხუთმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია..." „...კერატიშვილის ბინაზე აღმოჩენილ ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 288.721 მანეთი, აქედან 100.045 მანეთის ნივთები ამოცნობილ იქნა როგორც საეკლესიო და ეკლესიასვე დაუბრუნდა, ხოლო დანარჩენ-

ბიდან ისეთები, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნით შეფასდა როგორც სამუზეუმო და ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, გადაეცა საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმს, კერატიშვილის ბინაში აღმოჩენილი ძველი, იშვიათი ხელნაწერები – საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, კალისტრატე ცინცაძის შემოწირული 264 საეკლესიო წიგნი დაუბრუნდა საპატრიარქოს, ხოლო სხვა წიგნები გადაეცა კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას. კერატიშვილის საკუთარი ავტომანქანა „გაზ-24“ კონფისკებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ...“ ვინაა კერატიშვილი? კ.ამაღლობელის მიხედვით უნივერსიტეტიდან და სემინარიიდან გამოძევების შემდეგ, 1971 წელში კათალიკოსი ეფრემ მეორე ბ. კერატიშვილს ღებულობს საპატრიატქოში მდივნად. იმავე წლის 14 დეკემბერს კერატიშვილი ბერად აღიკვეცება „ძმა გაიოზის“ სახელით. სამი დღის შემდეგ იეროდიაკვნობას მიიღებს, მეხუთე დღეს მღვდელ- მონაზვნად აკურთხებს პატრიარქი, ხოლო ერთი წლის თავზე აყვანილი იქნა მღვდელმთავრად ეპისკოპოსის ხარისხით და ჩაბარდა წიღკნის ეპარქიის მმართველობა. ამის შემდეგ ეფრემ მეორე მაღე გარდაიცვალა. მის ადგილზე არჩეულმა დავით მეხუთემ ეპისკოპოს გაიოზს მიტროპოლიტობა მიანიჭა, ჩაბარა მცხეთის ეპარქია და სემინარიის რექტორობა და ვინაიდან პატრიარქი ღრმა მოხუცებული და ავადმყოფი იყო, ფაქტიურად მიტროპოლიტი გაიოზი განაგებდა მთელ საპატრიარქო საქმეებს.

კ. ამაღლობელის მიხედვით, მიტროპოლიტი გაიოზი, იგივე ბ. კერატიშვილი დააპატიმრეს, როცა ის საიუველირო ვაჭრობის შემსყიდველ პუნქტში ყიდდა ეკლესიებიდან ნაძარცვ ძვირფასეულობას და ბინის გაჩხრეკის დროსაც მისთვის უნახავთ სხვადასხვა ეკლესიებიდან და საპატრიარქოდან გატაცებული განძეულობა: ხატები, ძვირფასი პანაღიები, ჯვრები, ღვდელმთავრის კვერთხები, საცეცხლურები და სხვა საეკლესიო ოქრო-ვერცხლის და იშვიათი თვალ-მარგალიტებით მოჭედილი ნივთები, რომელთაც ფასი არ დაედებათ, როგორც ქართველი ერის და მისი ქრისტიანული ეკლესიის კულტურის იშვიათ მოწმეებს.

ჩვენი მკითხველისათვის საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამაღლობელის კორესპონდენციის ის ადგილი, რომელიც ეხება სასამართლოს კერძო განჩინებებს:

„ერთერთ მათგანში აღნიშნულია, რომ საქ. მართლმადიდებელ ეკლესიებში სრულიად დაუცველია ქონება, რომელიც მეტწილად უდიდესი კულტურულ-ისტორიული ღირებულების ხელოვნების ნაწარმოებებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიებში არსებობს აღმასრულებელი ორგანოები, რომელთა თავმჯდომარეებსაც, რაიაღმასკომებთან არსებული რელიგიის კულტის ხელშემწყობ კომისიებთან ერთად უშუალოდ ევალებათ ნივთების სწორი აღრიცხვა-დაცვა, ისინი ხშირად ამ მნიშვნელოვან საქმეს სრულიად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან, რის გამოც წლების მანძილზე სხვადასხვა ეკლესიიდან გატაცებულ იქნა უამრავი მატერიალური და კულტურული ღირებულებანი. აქ, აგრეთვე საპატრიარქოში და ეკლესია-მონასტრებში ფაქტიურად არ არსებობს საინვენტარიზაციო ჟურნალები და არ წარმოებს ნივთების ზუსტი აღრიცხვა.

„კერძო განჩინებაში ასევე აღნიშნულია, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოების რაიაღმასკომების ზოგიერთი თანამდებობის პირი ყოვლად უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ მეტად მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს.

„ეკლესიებსა და მონასტრებში არსებული ქონების გატაცებას თავიანთ უკონტროლობით სხვადასხვა დროს ხელი შეუწყვეს აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულებმა საქართველოს რესპუბლიკაში.“

სანამ ამ ცნობის კომენტარზე გადავიდოდე, ბ. კ. ამაღლობელის კორესპონდენციიდან ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბიძინა კერატიშვილმა სასამართლოს წინაშე თავი დამნაშავედ არ ცნო ქურდობის ბრალდებაში. როცა მას მოწმეები წაუყენეს პირში, მან უპასუხა: ეს ნივთები მაჩუქეს აწ განსვენებულმა პატრიარქებმა ეფრემ მეორემ და დავით მეხუთემ, ანდა სანაგვეზე ან საპატრიარქოში ვიპოვეო.

კერატიშვილის განკვეთა ეკლესიიდან

ჩვენი მკითხველები იცნობენ ბიძინა კერატიშვილს. როცა „თვითგამოცემით“ მივიღეთ „განცხადება ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე“ 1974 წ. თარიღით, „თ.

ტ."№6-ში დავბეჭდეთ მისი ვრცელი შინაარსი, გამოვეხმაურეთ ამის ირგვლივ ფიქრებს, გამოძახილებს, კერძოდ ლონდონის გაზეთ „ტაიმსში" პროფ. დ. ლენგსა და ბ. ვ. რედეკეის შორის ატეხილ დავას „თ.ტ."-ის მეცხრე ნომერში და მეათე ნომერში მოთავსებული იყო მთლიანად ზვიად გამსახურდიას ღია წერილი პროფესორ დ. ლენგისადმი. თუ ჩვენ ამ საქმეს ამდენი ადგილი დაუთმეთ, ეს იმიტომ, რომ ის ჩვენ მნიშვნელოვნად გვესახებოდა ეროვნული თვალსაზრისით და საჭიროდ მიგვაჩნდა მისი გახმიანება და მასზე, როგორც ქართული ისე საერთაშორისო აზრის გამოძახილი.

სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქად მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის არჩევის შემდეგ, მიტროპოლიტ გაიოზის, იგივე ბიძინა კერატიშვილის ეკლესიიდან განკვეთის ცნობა მისასალმებელი მოვლენაა. მის უწმინდესობას **ილია მეორეს** ამის შემდეგ ხელფეხი ხსნილი აქვს მის გამგებლობაში მყოფ ეკლესიის მსახურთა კადრის გაჯანსაღებისათვის, რა თქმა უნდა, იმ საზღვრებში, რომლებშიდაც ის ჩაკეტილი ჰყავს საბჭოთა რეჟიმს.

თუ დღეს ბიძინა კერატიშვილი საქ. ეკლესიის კათალიკოსის ტახტის მაგივრად დასჯილი ბოროტმოქმედის სენაკში ზის, ამას უნდა ვუმადლოდეთ მორწმუნეთა და პატრიოტთა თავდადებას. მათ ძვირად დაუჯდათ ეს, მაგრამ უქმად არ ჩაუვლია. ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი: სიონის ეკლესიის დარაჯი **ილარიონ სამხარაძე**, სვეტიცხოვლის მღვდელ-კონსერვატორი **ვ. შალამბერიძე**, რომელიც დაიღუპა საეკვო ავტომობილის ავარიაში, სიონის ეკლესიის ყოფილი მგალობელი ვალენტინა ფაილოძე, რომელიც დასჯილი იყო რამდენჯერმე ციხისწამების ბრალდებით და ამჟამადაც დაპატიმრებულია, ისტორიკოსი **თეიმურაზ ჯვარშეიშვილი**, რომელმაც თავს იდვა კერატიშვილისადმი წაყენებული ბრალდების პასუხისმგებლობა, გაასამართლეს ყალბი ბრალდებით და ოთხი წლის ციხე მიუსაჯეს, დაბოლოს, **ზვიად** გამსახურდია და **მერაბ კოსტავა** თავიანთი ჯგუფით, რომლებმაც **დავით ქორიძის** გამოძიება „თვითგამოცემის" გზით გააცვნეს საქართველოს და მთელ მსოფლიოს. რომ ამ უკანასკნელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კერატიშვილის ბედის გადაწყვეტაში მოწმობს გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის **ბედინეიშვილის** სიტყვები: „...კერატიშვილის და მისთანათა ბნელ საქმეებზე ქართველმა „დისიდენტებმა" აკი ხელი მოათბობინეს ჩვენს იდეურ მტრებს."-ო.

ამრიგად, როგორც საქართველოში ისე მის გარეთ, მსოფლიო ეკლესიების თვალში დამდაბლდა საქ. მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესია და სუკის აქტივობა ამაო გამოდგა კერატიშვილისთვის საჭირო ავტორიტეტის შესაქმნელად. ხუთი წლის მერყეობის შემდეგ, ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამეღავნებული აგენტის გაწირვა. ეს მით უფრო შესაძლებელი გახდა, რომ კერატიშვილის დასჯა განსაკუთრებით არ ვნებს საქ. კომპარტიის დღევანდელ პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს და სხვა ხელმძღვანელობას გარდა სუკის უცვლელი თავმჯდომარისა, აღექსანდრე ინაურისა. შეიძლება ამ უკანასკნელის თავიდან მოშორებაც დღის წესრიგში იდგეს, თუმცა სასამართლო სრულებით არ შეხებია ინაურის გამგებლობაში მყოფ ორგანოს თანამშრომლების როლს ბრალდებულ კერატიშვილის მფარველობაში. ჩანს, რომ სასამართლოს ჰქონდა ბრძანება კერატიშვილის სამაგალითოდ დასჯისა, მაგრამ მას ცნობისმოყვარეობა არ უნდა გამოეჩინა, არ უნდა დაეწყო ძიება არც კერატიშვილის თანამზრახველების, არც ბოროტების სათავეებისა.

საბჭოთა პრესა და სხვა პროპაგანდის საშუალებები ცდილობენ კერატიშვილის სასამართლო პროცესი გამოიყენონ საერთოდ რელიგიის და კერძოდ საქ. ქრისტიანულ ეკლესიის წინააღმდეგ. ისინი ხალხს ეუბნებიან: აი ხომ ხედავთ როგორნი არიან ეკლესიის მოძღვრები, რომლებსაც თქვენ უჯერებთ, ხელზე კოცნით და აღსარებას ეუბნებით.

იმედია ეს ხალხი ადვილად მიხვდება, რომ აქ ეკლესია და რელიგია არაფერ შუაშია და, რომ ბიძინა კერატიშვილთან ერთად ბოროტმოქმედთა სკამზე უნდა მჯდარიყო საბჭოთა პოლიციური რეჟიმი.

გ. წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი

1. ეკლესიების მსოფლიო საბჭოში

ამ წლის დამდეგს, იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში ჩატარდა მსოფლიო ეკლესიების საბჭოს კრება, რომლის დროსაც საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს საქათველოს მართლმადიდებელ ქრისტიანულ ეკლესიის პატრიარქი ილია მეორე.

მსოფლიო ეკლესიების საბჭოში გაერთიანებულია ორასზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიები. საქართველოს ეკლესია მისი წევრია *1962* წლიდან.

2. კათალიკოს ილია მეორის მოგზაურობანი

კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის, დიმიტრიოს პირველის მიპატიჟებით თურქეთს ეწვია საქართველოს საეკლესიო დელეგაცია კათალიკოს ილია მეორის მეთაურობით. ორივე პატრიარქმა ერთობლივი წირვა შეასრულეს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ტაძარში. საქ. ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა უძველესი ტაძრები და მონასტრები, ეწვიენ სტამბულის ქართულ კათოლიკურ მონასტერს, რომელსაც უკლის პავლე აკოფაშვილი. კათალიკოსი ილია მეორე შეხვდა და ესაუბრა სტამბულში მცხოვრებ ქრისტიან და მუსულმან ქართველებს.

კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქის შემდეგ, კათალიკოსი ილია მეორე და მისი ეკლესიის დელეგაცია ეწვია ბულგარეთის პატრიარქს, მის უწმიდესობას მაქსიმეს. სხვა სანახაობათა შორის, საქ. ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა პეტრიწონის ღავრა, რომელიც დასავლეთის დომესტიკმა ქართველმა გრიგოლ ბაკურიანმა დააარსა მეთერთმეტე საუკუნეში. ბულგარეთის და საქართველოს პატრიარქებმა ერთად წირეს სოფიის საპატრიაქოს ტაძარში.

3. ცხუმის და აფხაზეთის ეპისკოპოსი ამერიკაში

ილია შიოლაშვილის, რომელიც წინად ცხუმის და აფხაზეთის საეფისკოპოსოს განაგებდა, სრულიად საქ. კათალიკოს-პატრიარქად არჩევის შემდეგ, ცხუმის და აფხაზეთის ეპისკოპოსად კურთხეულ იქნა ნიკოლოზ მახარაძე, რომელიც მეორე პირად ჩანს საქ. საპატრიარქო იერარქიაში. ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა გასულ წელს იმოგზაურა იტალიაში, წელს კი ის ბრძანდებოდა ამერიკის შ. შტატებში სადაც ის, სხვათაშორის, შეხვდა ნიუ იორკში მცხოვრებ ქართველებს და ხანგრძლივად ისაუბრა მათთან.

4. ცთომილი „მცხეთა“

1976 წლის *24* ოქტომბერს, სამხრეთ ევროპის ობსერვატორიაში, ასტრონომმა **რიშარ ვესტმა** (*Richard WEST*) აღმოაჩინა აქამდე უცნობი მცირე პლანეტა, რომელიც *2116* ნომერით აღინიშნა. ბატონმა რიშარ ვესტმა მცირე პლანეტათა საერთაშორისო კავშირის ბიუროს შესთავაზა მის მიერ აღმოჩენილ პლანეტისათვის ეწოდებიათ „მცხეთა“, სახელი საქართველოს ძველი დედაქალაქის, ნიშნად ჩემი თაყვანებისა ამ ღამაზი ქვეყნის და მისი მხნე ხალხისადმიო. საერთაშორისო ბიურომ დაკმაყოფილა აღმომჩენი ასტრონომის სურვილი და დღეიდან მზის ირგვლივ ტრიალებს ცთომილი **მცხეთა**. ცნობისმოყვარეთათვის: ბატონი რიშარ ვესტი საქართველოს სიძეა. მისი მეუღლეა ქალბატონი **თამარ ჩოფიკაშვილი.**

5. ამიერკავკასიის ხელოვნების სიმპოზიუმი იტალიაში

ა.წ. ივლისის დამდეგს, იტალიის ქალაქებ მილანში, ბერგამოში და ვენეციაში გაიმართა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. ცნობილია: *1974* წ. ქ. ბერგამოში მოეწყო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი პირველი სიმპოზიუმი, შემდეგ წელში კი სომხეთის ხელოვნებისადმი. ამჯერად სიმპოზიუმის შინაარსი უფრო ვრცელი იყო, ის მოიცავდა ხელოვნების გარდა, ისტორიის, ლიტერატურის, არქეოლოგიის და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს და ითვალისწინებდა მთლიანად კავკასიის ტერიტორიას. კავკასიიდან *15*-მა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის: ერთი ჩრდილო ოსეთიდან, ექვსი სომხეთიდან და რვა საქართველოდან. ქართველებიდან მონაწილეობა მიიღეს ენათმეცნიერებმა თ. გამყრელიძემ და შ. აფრიდონიძემ, არქეოლოგ-

მა ოთარ ლორთქიფანიძემ, ისტორიკოსებმა და ფილოლოგებმა: თინა ყაუხჩიშვილმა, ზ. ალექსიძემ, დ. მუსხელიშვილმა, ხელოვნების ისტორიკოსებმა ვახტანგ ბერიძემ და ნ. ანდრიაძემ. სიმპოზიუმი მოაწყვეს ბერგამოსა და მილანის უნივერსიტეტებმა, მილანის არქიტექნიკურმა ინსტიტუტმა და ვენეციის უნივერსიტეტის ირანისტიკის, ურალო-ალტაისტიკისა და კავკასიის მცოდნეობის ფაკულტეტმა. როგორც პირველი სიმპოზიუმის ისე დღევანდელის მთავარი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები არიან იტალიელი მეცნიერები, პროფესორები: ა. ალპაგო ნოველოს და ნინო ყაუხჩიშვილი. ამ უკანასკნელებთან ერთად, იტალიიდან სიმპოზიუმის მოწყობაში და მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ჯანკარლო ბოლონიეზმა(მილანი), არქიტექტორ ენძო ჰიბშმა და პროფ. ლუიჯი მაგაროტომ, რომლის ქართულად წაკითხულმა მოხსენებამ „ცისფერყანწელების" მანიფესტზე დიდი ინტერესი დაიმსახურა. სიმპოზიუმის ორგანიზაციაში და წარმატებით ჩატარებაში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის რომის ფრანგულ ინსტიტუტს, ფრაგ არქეოლოგ ჟორჟ ვალეს და ბიბლიოთეკის გამგეს ნოელ დე ლა ბლანშარდიერს,

იტალიელებისა და კავკასიელების გარდა სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი, უნგრელი, ინგლისელი და ამერიკელი სწავლულები. ამათგან განსაკუთრებით სახსენებელია უნგრელი ქართველოლოგი **ლაიოშ ტარდი**, რომელმაც მოხსენება გააკეთა „ევროპული წყაროები საქართველოს მე-*15*-ე და მე-*16*-ე საუკუნეთა ისტორიის შესახებ" თემაზე, ფრანგი ბ. მარტენი, რომელმაც მოხსენება მიუძღვნა თემას „საქართველო და არაბები მერვე საუკუნეში: წმინდა დავით და კონსტანტინეს მარტვილობის შესახებ", პარიზელი **ტანია ველმანსი**, რომლის მოხსენება ეხებოდა სვანეთის სოფ. ხეს ეკლესიის ფრესკებს, და ინგლისელი **რეიფილდი**, რომელმაც განიხილა ვაჟა ფშაველას პოეზიის ურთიერთობა ქართულ ფოლკლორთან.

სიმპოზიუმის მიმდინარეობის დროსვე მილანში მოეწყო თანამედროვე სომხური არქიტექტურის და სომხური წიგნის გამოფენა, ხოლო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა გაიმართა რომში, იმპერატორ ტრაიანეს საბაზრო შენობაში. ბერგამოს პირველი სიმპოზიუმის შემდეგ, ამ გამოფენამ მოიარა იტალიის და ბელგიის ქალაქები და ყველგან დიდ ინტერესს იწვევს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ იტალიის, როგორც *1974* წლის ისე წლევანდელ, სიმპოზიუმებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ცივილიზაციის კაცობრიობისთვის გასაცნობად. საბოლოოდ მტკიცდება შეხედულება, რომ ახლოაღმოსავლეთის და ევროპის ისტორიისა და კულტურის საკითხების ამოხსნა- გაგებისათვის აუცილებლად საჭიროა ქართული კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი ცოდნა. ჩვენი ერის წარსულის ასეთმა საყოველთაო აღიარებამ არ შეიძლება სიამაყის გრძნობებით არ აღგვავსოს ყველა ქართველი და მადლიერების გამომხატველი სიტყვები არ მიუძღვნათ ყველა იმ უცხოელ მეგობრებს, რომლებიც ამას ხელს უწყობენ. ქალბატონი ნინო ყაუხჩიშვილის დაუფასებელი ღვაწლი კი განსაკუთრებით არის აღსანიშნავი.

6. ქართველოლოგიის სკოლა ვენეციაში

ვენეციის ფოსკარის უნივერსიტეტში შეიქნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა დოქტორ **ლუიჯი მაგაროტოს** თაოსნობით, რომელიც არის ამ უნივერსიტეტის რუსული ენის მასწავლებელი. ბატონი ლ. მაგაროტო მშვენივრად ლაპარაკობს ქართულს და მცოდნეა თანამედროვე ქართული პროზისა და პოეზიის.

ზეინაბ ზურაბიშვილი

ღ ა ღ ა დ ი , ტ რ ა ნ ს ლ ი ტ ე რ ა ც ი ა დ ა მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ტრანსლიტერაცია

ისევ ვიწყებ კონსტანტინე გამსახურდიასაგან(თ.ტ.№*14-15*,გვ.*26*), რომელმაც დაახასიათა თავისი მოთხრობა როგორც „ნოველა"; ეს „ლასის" გაორკეცება გამეორებულია ტექსტშიც: „ილუზიონისტი"-ო. ქართული თავისი განსაკუთრებული ანბანით არ ეკუთვნის რომელიმე სხვა ენათა ჯგუფს და ამიტომ ყოველ შემთხვევაში მასში შესაძლებელია მხოლოდ ფონეტიკური ტრანსლიტერაცია. ეს ადვილი საქმე არ არის, რადგანაც უნდა ვიცოდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაახლოებით მაინც, როგორ გმოითქმის რომელიმე სიტყვა, ტერმინი ანუ სახელი თავის საკუთარ ენაში. როგორ განვახორციელოთ ამდენი ენამრავლობა? თუნდაც კოლექტიურად, თანამშრომლობით! უნდა ვეცადოთ გავაუბრალოოდ ეს ძნელი საქმე ხან ზოგადი პრინციპით, ხან უფრო გარკვეული წესით და ზოგჯერ უფრო მკაცრი დაკანონებით. ამ დაკანონებას ეკუთვნის არა გაორკეცება თანხმოვნის.– ამას აქვს სხვადასხვა მიზეზი, მაგრამ მთავარია თვით ქართული ენის განსაკუთრებული თვისება ასოების გაორკეცების დარგში. მაშასადამე, დაიწერება: **ნოველა, მადონა, მარ** და არა მარრ, **ბროსე** და არა ბროსსე ან ბროსსეტ და სხვა.

ზოგ შემთხვევაში ტრანსლიტერაციას აქვს თავისი ისტორია ანუ ხანდისხან თითქოს უმიზეზოდ ის იქცა ჩვეულებად; მაგალითად იწერება **ფოსტა** და არა პოსტა, **შტატები** და არა სტატები და სხვა. გასწორება იმისი, რაც დღეისთვის ქცეულია ჩვეულებად, შეცდომა იქნებოდა. ძებნა ორიგინალობის და ყოველგვარი პრანჭვა ენის ხმარებაში, თუნდაც პოეზიის საბაბით, ნიშნავს ღალატს ენის დაცვაში.

ტრანსლიტერაციაში გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისური „დაბლ იუ"(ორკეცი **უ**). ქართულად იწერება: **ვილსონ, ვაშინგტონ, ვიკ ენდ** და სხვა. ამით ჩვენ ვშორდებით ფონეტიკურ წაბაძვას. ასეთი მიდგომა დაკანონდა და ზოგი მოსაზრებით სწორიც არის. ასო **ვინ** უნდა დარჩეს ხმარებაში და უნდა ვწეროთ **ოსკარ ვაილდ** და არა **უალდ**, როგორც ამას იოსებ გრიშაშვილი წერს.

ზოგჯერ ამოცანა უფრო რთულია. დაკანონდა **გოეთე**, რაც უდტის გერმანულ გამოთქმას, ზოგი მაინც წერს **გოეტეს**; **ვიქტორ უგო** უკეთესია ვიდრე ჰუგო. ასევე, კ. გამსახურდიას მოთხრობაში **ალიგჰიერი** შემცდარია, იტალიურში **ჰ** არის სრულებით ყრუ ასო და მისი დანიშნულებაა **განს** შეუშალოს იქცეს **ჯანად**, ე.ი. არ იკითხებოდეს **ალიჯიერი**-ად. ეს იტალიურის თვისებაა და ქართულს არ ეხება. დანტეს გვარი არის **ალიგიერი**. ტრანსლიტერაციაზე ბევრი სხვა ითქმის, ამ მოკლე შენიშვნას აზრად არ აქვს ამოწუროს მთელი საკითხი. ის დაიწერა იმედით: იქნებ ზოგი რამ აღნიშნული მაინც გამოდგეს ენის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

მრავლობითი რიცხვი

კ. გამსახურდიას ნოველაში(თ.ტ.№*14-15*) ბევრი რამ საყურადღებოა სხვადასხვა თვალსაზრისით. საერთო შთაბეჭდილებით ეს მოთხრობა ძირითადათ უთუოდ არის მისი ნაწერი. ნაწარმოებს ეტყობა ოსტატის ხელი, მაგრამ ის არ არის გაშალაშინებული. მას ზოგ ადგილს არა სასიამოვნო ღაჭა აზის და თითქოს სხვა ხელი ჩანს. ზოგი სიტყვის ფორმაცია გასაკვირველია, მაგალითად **პანთურქისტული, პანთურქული**ს მაგივრად. იმ სახით, რომლითაც მოთხრობამ ჩვენამდე მოაღწია, მისი ნორმალური კრიტიკა შეუძლებელია. მოთხრობაში არის აგრეთვე ზოგი რამ, რაც შესაძლებელია გადამწერის ან დამბეჭდის შეცდომა იყოს. მაგალითად, გვეეჭვება კ.გამსახურდიას ეთქვა: **თმებგაშლილი დედაჩემი**-ო. ქალს აქვს თმა და ის შეიძლება იყოს **თმაგაშლილი**. რუსულში კი ადამიანის თმა იხმარება მხოლოდ მრავლობითში. ამ **თმებგაშლილობამ** დამაფიქრა საერთოდ მრავლობით რიცხვზე და მისგან გამოწვეული პირადი განცდამინდა გავუზიარო მკითხველს.

ითქმის: ორი კაცი, სამი ქალი, ხუთი ძროხა, შვიდი ფანქარი. ფანქარი თუ ქალი ყველანი არიან მხოლობით რიცხვში; ეს სიღატაკით არ მოგვდის: გვაქვს ორი სხვადასხვა მრავლობითი რიცხვი!– ეს არის ერთი თვისებათაგანი ქართული ენის. ვიტყვით აგრეთვე: სხვადასხვა ფანქრებია, ან ფანქრები არის; ფანქრები მრავლობით რიცხვშია, მაგრამ ზმნა მხოლობითში. შეგვიძლია ვთქვათ: ქართულ ენას არ უყვარს მრავლობითი რიცხვი. რუსულ ენას პირიქით უყვარს მრავლობითი რიცხვი; არის კიდევაც სიტყვა, რომელიც ითქმის მხოლოდ მრავლობით რიცხვში რუსულად, ქართულად კი ითქმება: თმა, კარი, ხალხი, ფული და სხვა. ხშირად რუსულად ნახმარი მრავლობითი რიცხვი, ქართულში უკედ გადმოითარგმნება მხოლობითით. ყველა ენას აქვს თავისი დამახასიათებელი თვისება და ამ თვისებების არევა დაამახინჯებს ენას.

დიდ ოსტატს და მგოსანს ზოგჯერ ეპატიება ის, რაც არ ეპატიება უბრალო მომაკვდავს. აკაკი თავის ცნობილ მაჯამაში „აღმართ აღმართ მიდიოდი, მე ნელა" ამბობს:

Djobadze's Library

„ჭინჭარში ნუ ვარდები, ნუ გგონია იქ ია და ვარდები“,„ ვარდები“ ყურისთვის მოსწრებული მაჯამაა, და ეს იყო სწორედ მგოსნის მიზანი.–„ია და ვარდები“ უბრალო მმართველებისთვის კი კარგ ქართულად არ გამოდგება, ქართულს ხომ არ უყვარს მრავლობითი რიცხვი და „ია და ვარდი“ მრავალ ყვავილს აღნიშნავს. მაგონდება სხვა განთქმული ლექსი, სადაც ხმატკბილი შეთანხმებისათვის ნახმარია მრავლობითი რიცხვი. ამაზე, ვგრძნობ, მეტს ვერ ვიტყვი თუ არ ვთქვი ერთი ამბავი ჩემი ცხოვრების.

ეს იყო, თუ არ ვცდები, შემოდგომას *1943* წლისა. ვიყავი საქმეზე ლუბა აბდუშელიშვილთან სენ- კლუში, პარიზის მიდამო. ლუბა ჩაჩიბაია ჩემი ბავშვობის მეგობარია. მითხრა ლუბამ: სადილად მყავს გრიგოლ რობაქიძე და კაკო; თუ გინდა დარჩი. აბა, როგორ გავუშვებდი ამისთანა შემთხვევას... შვიდი ვისხედით სუფრაზე. თავში იჯდა მასპინძელი შალვა აბდუშელიშვილი, მის მარჯვნივ გრიგოლ რობაქიძე, ჩამოსული პარიზში გერმანიიდან. მან სწორედ წაგვიკითხა რამდენიმე მოხსენება, ქართულ საზოგადოებაში, მიძღვნილი „კარდუს“-ადმი. კარდუ არის, და არა მარტო მიწევნილთათვის, სახელი ქართველი ერის სულის; თავში გრიგოლმა აგვიხსნა რატომ ის არის კარდუ და არა ქართუ. გრიგოლის აღფრთოვანებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე და ხალხმა შეინარჩუნა კარდუს სახელი. რამოდენიმე წლის შემდეგ, გიორგი ყიფიანმა ლექსი უძღვნა გრიგოლ რობაქიძეს და უწოდა მას „კარდუს მარჯვენა.“ შარშან კი ვიქტორ ნოზაძის მიცვალების გამო, გიორგი ყიფიანმა სამართლიანი ღრმა შეგნებით „კარდუს დიდი მსახურის“ სახელი მისცა ვიქტორს.

გრიგოლ რობაქიძე იყო საყვარელი კაცი, როცა ის ლაპარაკობდა თავისებურად ბუნდოვან მითოლოგიაზე, რომელიმე წითელთმიან ცხენოსან ქალზე, რომელიც თარეშობდა კოლხეთის ნაპირას, ირუბაქის სიკვდილზე, ანუ სხვა მისმიერ ამბავზე. თუ ბაასი გადავიდოდა გოეთეზე და პოეზიაზე, რაც მუდამ ხდებოდა, მაშინ გრიგოლი გადიქცეოდა რომელიღაც პრეისტორიულ ტაძრის ულმობელ მსაჯულად; მას ჰქონდა შესაფერისად ხელოვნური თმა მოკრეჭილი და თითქოს მიწებებული თავის ქალაზე; ის მაშინ იყო მკაცრი და უსამართლო თავის თანამემამულე მგოსნის მიმართ; პოეზია იყო მისთვის ღვთაება, მისი საკუთარი ღვთაება; ის ალბათ იჯდა ბერძნული ქანდაკების „სიმართლის“ მსგავსად და თვალდახუჭული უსმენდა რობაქიძის ლექსებს; ამას დანამდვილებით არავინ იტყვის, რადგანაც ამ ღვთაების სახე, მოკაზმულობა და სახელი მხოლოდ გრიგოლმა იცოდა.

გრიგოლ რობაქიძესთან გვერდით იჯდა გიგო დიასამიძე, მისი თანამგზავრი ბერლინიდან. საუკუნის დასაწყისში მისი დიდი აგებულობა იყო თბილისის აუცილებელი დამატება. გაზეთის გამომცემელი, ვექილი, ის ნორმალურად დაწერილ ისტორიაში შევიდოდა როგორც აკაკის თაყვანისმცემელი, მეგობარი და თანამგზავრი. თავის ახალგაზრდობისას მან მოასწრო „ბანკიობას“ და აგროვებდა ხმებს კენჭის ყრაში ილიას წინააღმდეგ. ჩემ სიყმაწვილეში, როცა შევცვალე მარჯვნივ, პირველ გიმნაზიისაკენ, სიარული და დავდიოდი მარცხნივ უნივერსიტეტისაკენ, რუსთაველის გამზირის ამავე მხარეზე, მაშინ ხშირად, თუ ყოველ დღეს არა, შორიდან ვხედავდი გიგო დიასამიძეს. მას სახლი ჰქონდა ოლღას(დღეს ლენინის) ქუჩაზე, ჩემი გზის მხარეზე. ის გადალახავდა ქუჩას და იქ „პორტფელის“ ერთ ხელში და მეორის ქნევით, აჩერებდა მოსიარულე ნაცნობებს და რაღაცას უქადაგებდა. *91* წლის ასაკში, გიგო დიასამიძე გარდაიცვალა ნიუ იორკში *1960* წელს. მისი შვილიშვილი, შეფიცულ ელიზბარ ვაჩნაძის შვილი, გათხოვდა შეერთებულ შტატებში და მგონია იღებს მონაწილეობას სათვისტომოს გამგეობაში.

დიასამიძესთან იჯდა ალექსანდრე ქორქია; კაცი რბილი და გულკეთილი.

ის მაშინ იდგა საფრანგეთში ქართული „ოფისის“ სათავეში. ალ. ქორქია ეკუთვნის, ასე ვთქვათ, ქართველთა იდუმალ და უჩინარ საქმიანობას. რუსეთის იმპერიის სამსახურში მან ცხენით გაიარა ლათინურ ამერიკის მთელი სამხრეთი; მერე ის გახდა იმპერიის „პროკურორად“; არგენტინამ მაშინვე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა *1918* წელს; ეს ამბავი უჩინარი ძაფით დაკავშირებულია საშა ქორქიას მოგზაურობასთან. პეტერბურგში და შემდეგ პეტროგრადში ის მუდამ ჩუმად ხელს უწყობდა ქართულ საქმიანობას; საქ. ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ზრუნვაში მან მიიღო კარგი მონაწილეობა. ვიქტორ

ნოზაძემ გამოაქვეყნა „კავკასიონში“ **გიორგი დეკანოზიშვილის** დღიურის ნაწილი; გიორგიმ თურმე გაატანა რუსეთში ახალგაზრდა საშა ქორქიას მთელი „ჩემოდანი“ სავსე გაზეთ „საქართველოთი“ და არ იცოდა რა დაემართა ამ მისთვის ძვირფას განძს; საშა ქორქიას არც ახალგაზრდობაში შეიძლება დაბრალდეს დაუდევრობა; მან აღბათ იცოდა „ჩემოდანისთვის“ თავისი მოხერხებული „გზები“ და ის, რაც გიორგის დაუდევრობა ჰგონია არის სიფრთხილე. საშა არავის დაუტოვებდა საბუთს თავისი ლეგალური თუ არალეგალური საქმიანობისას. საშა ქორქია გაეყარა ცოლს უკვე ემიგრაციაში; მისი ვაჟი მახსოვს აკვანში; რევოლუციის შემდეგ ქორქიას ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, გედევანიშვილის სახლში, გრიბოედოვის ქუჩაზე ჩვენი სახლის პირისპირ; ემიგრაციაში ვაჟი ცხოვრობდა დედასთან გერმანიაში; მობილიზაციისას ის იყო პარაშუტისტების ნაწილში და მოიკლა კუნძულ კრეტას აღების დროს.

მასპინძლის მარცხნით იჯდა ირაკლი(კაკი) წერეთელი; ის ამ სახლში მახლობლად გრძნობდა თავს; შალვა აბდუშელიშვილს ჰქონდა მისი ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

სუფრაზე მოხდა შეკამათება გრიგოლ რობაქიძესა და ირაკლი წერეთლის შორის, ბაასში მოიხსენდა პოეზია და გრიგოლმა გადაჰკრა ილიას პოეტიკას. გიგო დიასამიძეს ეამა. კაკი აღშფოთდა და ცრემლით თვალში თქვა:

ტყემ მოისხა ფოთოლი
აგერ მერცხალიც ჰყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
ზამთელო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

და დაუმატა: ამისთანა ღრმა ლირიზმის ლექსი მსოფლიოში არც ერთ ლიტერატურას არ აქვსო.

რასაკვირველია, ყველასთვის ეს ლექსი არის გულში გასამეორებელი ლოცვა. ლოცვა მხოლობითი თავისი მრავლობითი ძალის, როგორც ქართული არსებითი სახელი.

ლექსში ხომ არ არის ნათქვამი ტყეს ჰქონდეს ერთი ფოთოლი, ანუ ცაში იყოს ერთი ფრინველი... მგოსანმა მაინც უკანასკნელ ბგერათა ძლიერი შეთანხმებისათვის იხმარა მრავლობითი რიცხვი, არ ვიტყვი აკაკისამებრ, რადგანაც მათზე ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილმა თქვა: **მორბის არაგვი, არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნი...** უბრალო მომაკვდავისათვის მაინც უნდა დარჩეს ძალაში „მთისა და ბრისა“, „მთა და ბარი“.

გიორგი ჯაყელი
ნიუ იორკი. *1977.*

კორნელი კეკელიძის *100* წლისთავისთვის

18 აპრილს შესრულდა ასი წელი ქართული უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებელთაგანის და მისი მშვენების – **კორნელი კეკელიძის** დაბადებიდან.

ივანე ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე ხშირად ეკამათებოდნენ ერთმანეთს საქ. ისტორიის საკითხებზე, მაგრამ ერთმანეთს დიდათ აფასებდნენ და დიდ ანგარიშს უწევდნენ.

კ. კეკელიძე უკვე სახელგანთქმული მეცნიერი იყო, როცა სამშობლოში დაბრუნდა სამოღვაწეოდ და სათავეში ჩაუდგა ქართული დამწერლობის კვლევას. მან *1904* წ. დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. მაშინვე მისი სადიპლომო შრომა „ქართ. ლიტერატურული ძეგლები და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ დიდათ იქნა მოწონებული და ამავე თემაზე, რომელიც გაღრმავებული და გაფართოებული იქნა, *1908* წელს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი, რომელიც უდრის ეხლანდელ დოქტორისას.

უცხო ენების საფუძვლიანი ცოდნა, კ. კეკელიძეს საშუალებას აძლევდა, ქართული მწერლობის შესწავლისას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოერკვია იმ ხალხების ლიტერატურის საკითხები, რომლებთანაც ჩვენს წინაპრებს ისტორიული ურთიერთობა ჰქონდათ. ამის გამო კ. კეკელიძის დამსახურება დაუფასებელია ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-სირიულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-სპარსულ და ქართულ-რუსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესწავლის საქმეში. აკადემიკოს კ. კეკელიძემ საქ. წიგნთსაცავებში აღმოაჩინა ბიზანტიური მწერლობის ასობით ქართულად თარგმნილი ძეგლები, რომელთა დედანი დაკარგულია და მათი აღდგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ტექსტების საშუალებით. ამ აღმოჩენას ევროპის მეცნიერებმა პირველი რიგის სენსაცია უწოდეს.

კ. კეკელიძე ბეჯითად იკვლევდა საქ. ისტორიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ქართული ლიტერატურის საკითხებს, მაგრამ მისი რკვევის მთავარი სამყარო იყო საშუალო საუკუნეების ქრისტიანული სასულიერო მწერლობა.

კ. კეკელიძემ ცხადყო თუ რა მდიდარი კულტურა შექმნა საქართველომ ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნოებში. ამ მწერლობის მნიშვნელობასთან ერთად აჩვენა, რომ ჩვენი საისტორიო ძეგლები პირველხარისხოვანი წყაროებია სხვა ერების ისტორიის და კულტურის შესასწავლად.

კ. კეკელიძე გარდაიცვალა *1962* წლის *8* ივნისს და დასაფლავებულია უნივერსიტეტის ეზოში ივ. ჯავახიშვილის და პ. მელიქიშვილის გვერდით. მან სამშობლოს დაუტოვა უმდიდრესი მემკვიდრეობა, აქედან განსაკუთრებით ძვირფასია ფუნდამენტური ორტომეული ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ეტიუდების *14* ტომი. მის მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით გამოზრდილი სწავლულები მაღლად დაიჭერენ დიდი მასწავლებლის მიერ ანთებულ ცოდნის ჩირაღდანს და კიდევ უფრო შორს გადააწვდენენ ქართული გონების შუქსა და ნათელს.

გრიგოლ წერეთელი

--- --- --- --- ---

შ ა ლ ვ ა ნ უ ც უ ბ ი ძ ე

დაბადებიდან *90*, გარდაცვალებიდან *10* წლისთავი

შალვა ნუცუბიძე ქართული უნივერსიტეტის მშვენება იყო და თუ ჩვენი ეროვნული კულტურის ამ საამაყო კერამ დაარსების თანავე მსოფლიო აღიარება და სახელი მოიპოვა, ამაში მნიშვნელოვანი დამსახურება და წვლილი შალვა ნუცუბიძასაც მიუძღვის, ამიტომ საჭიროა ჩვენი მკითხველები მის სახელსაც ვაზიაროთ.

შალვა ნუცუბიძემ სათავე დაუდვა ჩვენ უნივერსიტეტში ფილოსოფიური აზროვნების აღორძინებას და შემდეგ მის სრულყოფას, მან გამოზარდა ამ დარგში მოღვაწეთა თაობები, დიდი შრომითა და ცოდნით ჩამოაყალიბა ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიის შესანიშნავი კურსი.

შ. ნუცუბიძე აგრეთვე სახელგანთქმული იყო როგორც ლიტერატურის დიდი მცოდნე, მკვლევარი და მთარგმნელი. მან ბელგიელი მეცნიერის ერნესტ ჰონიგმანის დამოუკიდებლად, პირველმა დაამტკიცა, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული უცნობი ავტორის წიგნები, რომლებიც არეოპაგიტის სახელს ატარებენ, ეკუთვნის მეხუთე საუკუნეში, ბიზანტიურ სამყაროში მოღვაწე ქართველ უფლისწულს, პეტრე იბერიელს ანუ პეტრე ქართველს.

შ. ნუცუბიძემვე დაამტკიცა საშუალო საუკუნოების მსოფლიოში უაღრესად პოპულიარული ნაწარმოების, „სიბრძნე ბალაჰვარისას“ ქართული წარმომავლობა, საიდანაც უთარგმნიათ ბერძნებს და ბერძნულიდან კი მთელ მსოფლიოში გავრცელებულა.

ასევე დიდათ საყურადღებოა შ. ნუცუბიძის „აღმოსავლეთის რენესანსის“ თეორია, რომლის მიხედვით აღმოსავლეთის რენესანსი წინ უსწრებს დასავლეთისა და ამ რენესანსის მწვერვალია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

დაბოლოს, დაუფასებელია შ. ნუცუბიძის დამსახურება ვეფხისტყაოსნის და სხვა საშუალო საუკუნოების ქართ. ლიტერატურული ძეგლების რუსულად თარგმნის საქმეში, მის მიერ რუსულად თარგმნილი ვეფხისტყაოსანი ერთ საუკეთესოთაგანად არის აღიარებული სპეციალისტების მიერ.

შ. ნუცუბიძე არა მარტო დიდი ერუდიციის და ნიჭის მქონე იყო, არამედ აგრეთვე ის იყო შესანიშნავი მჭერმეტყველიც. მის ლექციებს არცერთი სტუდენტი არ დააკლდებოდა. შ. ნუცუბიძე ერთერთი თვალსაჩინო წევრიც იყო სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ფრაქციისა. მცა დიდ მოქნილობას იჩენდა, მაინც საოკუპაციო ხელისუფლებამ, მიუხედავად დიდი დაწოლისა, ვერ მიაღწია მისგან ვერც პოლიტიკურ და ვერც ფილოსოფიურ მრწამსზე საჯაროდ ხელის აღებას. სტუდენტობის მისდამი თაყვანებაში ამასაც ჰქონდა, უეჭველად, მნიშვნელობა. ხელისუფლებამ მას წვრილფეხა და უნიჭო კრიტიკოსები მიუჩინა. ისინი შემთხვევას არ უშვებდნენ ემხილებიათ შ. ნუცუბიძის უარყოფითი დამოკიდებულება მატერიალისტური მსოფლმხედველობისადმი. მახსოვს ერთი ანეკდოტური ნამდვილი ამბავი:
უნივერსიტეტში იმ დროს იყო ერთი დიალექტიკური მატერიალიზმის ლექტორი დოცენტი მოსე გოგიბერიძე, პარტიის დავალებით თუ პირადი მტრობით, მან ერთხელ საჯაროდ თქვა: „არ იქნა და არა შ. ნუცუბიძე საბჭოთა პლატფორმაზე ვერ გადმოვიდაო“. შ. ნუცუბიძე არ შეუშინდა და საჯაროდვე მოსწრებულად უპასუხა: „ჩემო მოსე, სადგურში როცა მატარებელი ჩამოდგება ბაქანზე ჯერ ხელცარიელები ჩამოდიან სულ ბოლოს კი მძიმედ დატვირთული ბარგოსნებიო.“

მახსოვს ერთი ბედნიერი ამბავიც. სპარსეთის დიდი პოეტის ფირდოუსის ათასი წლის იუბილე იყო. მუშტაიდის ბაღის ესტრადის წინ ზღვა ხალხი უინტერესოდ უსმენდა პირველ ორატორს, ფილიპე მახარაძეს; მისი სიტყვები ვერც კი აღწევდნენ ჩვენამდის, მოუთმენლად ველოდით თუ როდის დაამთავრებდა, მაგრამ ის გლახა ჭრიაშვილივით აჭიანურებდა. როგორც იქნა დაამთავრა და ის შეცვალა შალვა ნუცუბიძემ. როგორც კი ჰქექა პირველი სიტყვები, ტანში ჟრუანტელმა გაგვიარა. თითქოს ჩვენს თავებზე ქარიშხალმა გადაგვიარა, სული შეგვიკრა, მოგვხიბლა და დაგვატყვევა... და, როცა დაამთავრა, დაგვენანა, რომ ასე მალე დასრულდა ოქროპირი ორატორის სიტყვების სიმფონია. მეხივით იქუხა ტაშმა და მისმა მძლავრმა ექომ გადაუარა სიბნელეში გატრუნულ ქალაქს დიდუბიდან შავნაბადამდე...

ეჟოვშჩინის წლებში უკვალოდ გაუჩინარდა ბატონი შალვა. იმ დროს, ასე უკვალოდ დაკარგულთა ამბის კითხვაც კი დიდათ სახიფათო იყო. არავინ იცოდა მკვდარი იყო თუ ცოცხალი. გვიან, ომის დაწყების წინ შევიტყვეთ: შ. ნუცუბიძემ გადასახლებაში რუსულად შესანიშნავად თარგმნა „ვაფხისტყაოსანი“, სტალინმა დაუმადლა, მოსკოვში იმყოფება შინაპატიმრობაში, უფლება არ აქვს სამშობლოში დაბრუნებისაო. აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძის წერილიდანაც ჩანს, რომ სწორედ იმ დროს, გადასახლებაში უთარგმნია „აბდულმესიანი“, „თამარიანი“ და ვეფხისტყაოსნის თარგმნა დაუმთავრებია 1940 წელს, თუმცა პატივცემული აკადემიკოსი არ ამბობს, რომ იმ დროს შ. ნუცუბიძე გადასახლებული იყო სამშობლოდან.

სტალინს იმ დროს სჭირდებოდა პირადი ინტერესებით საქართველოს მდიდარი კულტურული წარსულის საერთაშორისო გახმიანება, ამან განაპირობა შ. ნუცუბიძის ხსნა სტალინის „გულაგებიდან“ და ამრიგად გადარჩენილმა შ. ნუცუბიძემ დაუფასებელი ამაგი დადვა მშობელი ერის კულტურას, მაგრამ რამდენი სხვა, შ. ნუცუბიძეზე ახალგაზრდა და ნაკლებად ცნობილი, დაიღუპა უსახელოდ იმ ბრმა და მასიურ რეპრესიების შედეგად? ვინ იცის, იქნებ ზოგიერთ მათგანს ბატონ შალვაზე არა ნაკლებად ესახელებია ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი.

გოგი ლუბაშვილი

--- --- --- --- ---

ხელოვნის ხსოვნას

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, სამშობლოში, 69 წლისა გარდაიცვალა **ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი.** განსვენებული იყო შესანიშნავი შემსრულებელი ქართ. ხალხური ცეკვებისა, განსაკუთრებით კი „ლეკურისა“, რომლისთვისაც ის თითქოს განგებ იყო დაბადებული თავისი ფიზიკური აღნაგობით და მუსიკალობით.

1938 წლიდან მან ხელი მიჰყო ახალგაზრდათა აღზრდას და ცეკვების დადგმას. **ჯანო,** როგორც ყველა მას უძახოდა, იყო დიდი გემოვნების და კულტურის მქონე დამდ-

Djobadze's Library

გმელი-ქორეოგრაფი. მან გამოავლინა და დაამუშავა არაერთი კუთხური ცეკვა და ეროვნულ საკუთრებად აქცია. ის იყო გულისხმიერი და კარგი აღმზრდელი. მან ბევრი ნიჭი აღმოაჩინა და გამოუზარდა სამშობლოს. ქართული ხალხური ცეკვების საფუძველზე, ჯანომ შექმნა ახალი საინტერესო ცეკვები.

საბჭოთა ხელისუფლება ჯანო ბაგრატიონს ავიწროებდა, არ აძლევდა მას მისი ნიჭის სრულყოფილად გამოჩენას, მხოლოდ იმისთვის, რომ ის ეკუთვნოდა ბაგრატიონების სახელოვან გვარს. ამ მოსაზრებით მას ნება არ მისცეს წაყოლოდა მის მიერ მომზადებულ ქართ. ხალხური ცეკვების ანსაბლს ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე.

ჯანო ბაგრატიონი იყო მეტად საყვარელი ადამიანი, თავმდაბალი, ერთგული მეგობარი. უეჭველად, ღრმად დამწუხრებული იქნებიან მისი თანამშრომლები და მრავალრიცხოვანი აღზრდილები, მთელი ქართ. ხელოვნების მუშაკები და მოყვარულნი.

საუკუნო იყოს კარგი ქართველის, ჯანო ბაგრატიონის ხსოვნა!

უნიჟო შეგირდი

მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი დ ა ლ ე ნ ი ნ ი

სავარძელში გვერდიგვერდ მსხდომი ლენინი და მაქსიმ გორკი მეგობრულად საუბრობენ ლიტერატურის საკითხებზე. ასეთია ფართო საბჭოთა საზოგადოების წარმოდგენა ამ ორი სახელგანთქმული პირის ურთიერთ განწყობილებაზე. ჩვენ აქ ვთავაზობთ მკითხველებს მედალის მეორე მხარეს.

1917 წელში მაქსიმ გორკი თანამშრომლობდა სოციალ-რევოლუციონერთა ორგანო „ნოვაია ჟიზნ“-ში. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, *1917* წლის *20* ნოემბერს მაქსიმ გორკი იქ წერს: „...ლენინი, ტროცკი და მათი თანამზრახველნი უკვე შეპყრობილი არიან ხელისუფლების შხამით, ამის მოწმეა მათი სკანდალური დამოკიდებულება პიროვნების თავისუფლების მიმართ და ყველა იმ უფლებების მიმართ, რომელთა განხორციელებისთვისაც იბრძოდა დემოკრატია. დაბრმავებული ფანატიკოსები, უსინდისო ავანტიურისტები მიეშურებიან დაუოკებლად ეგრედ წოდებულ „სოციალისტურ რევოლუციისაკენ“, მაგრამ სინამდვილეში ეს გზა არის დამღუპველი როგორც პროლეტარიატის ისე რევოლუციის.

შედგენ რა ამ გზაზედ ლენინი და ძმანი მისი, თავის თავიანთ თავს ნებას აძლევენ ყოველგვარი ბოროტმოქმედებისას: ამოხოცვა პეტერბურგის ახლოს, დანგრევა მოსკოვის, აზრის თავისუფალი გამოთქმის აკრძალვა, უაზრო დაპატიმრებები, ერთი სიტყვით, ყველა საშინელება რასაც სჩადიოდა პლევე და სტოლიპინი...

ლენინი არ არის ჯადოსანი, უსაზღვრო შესაძლებლობისა, არამედ ერთი ოინბაზი ცივი თავით, რომელიც არ ზოგავს არც თავის ღირსებას არც პროლეტარიატს. მუშებმა ნება არ უნდა მისცენ ავანტიურისტებს და გიჟებს მათ თავზე მოახვინონ პასუხისმგებლობა სამარცხვინო , უაზრო და სისხლიანი ბოროტმოქმედებისა, რომლისთვისაც მათ უნდა ზღონ ლენინის ადგილას.“

23 ნოემბერს, სათაურით „მუშების საყურადღებოდ“, გორკი წერს:

„...აიძულეს რა პროლეტარიატი დათანხმდეს პრესის თავისუფლების აკრძალვას, ლენინმა და მისმა ამფსონებმა კანონიერად გახადეს დემოკრატიის მტრების კანონები, დემოკრატიის აღაგმვის შესახებ. შიმშილის და პოგრომის მუქარით ყველას მიმართ ვინც მათ არ ეთანხმებიან, ლენინი და ტროცკი კანონიერად ხდიან ხელისუფლების დესპოტიზმს, რომლის წინააღმდეგაც ასეთი გრძელი და მტკივნეული ბრძოლა აწარმოეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალებმა.“

„ეს აუცილებელი ტრაღედია სრულიად არ აფიქრებს ლენინს, რომელიც დოგმების მონაა, არც მის ამყოლებს, რომლებიც ლენინის მონები არიან.“

ჟურნალი **„ნოვაია ჟიზნ“**, რომელიც მაქსიმ გორკის თაოსნობით დაარსდა *1917* წელში, ლენინის ბრძანებით აიკრძალა *1918* წლის *16* ივლისს.

რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი მეგობრის მოსაგონარი

ამ კანიკულების დღეებში, როცა დიდი ქალაქების მოსახლეობა ზღვის ნაპირებისა და თოვლიან-ყინულიან მთების მისადგომებისაკენ მიეშურება მზის და სუფთა ჰაერის საძებრად, ზოგი გართობის მიზნით, ზოგი ცნობისმოყვარეობის და რიგი კი შერყეულ ჯანმრთელობის აღსადგენად და დასასვენებლად, მე ჯერ კიდევ ჩემს სამუშაო ოთახში ვამზადებ და ვაწყობ ამ ნომერს. ამ დღეებში ჩემს გონებას არ შორდება ორი მეგობრის სახე, რომლებიც სწორედ ზაფხულის დღეებში გაგვშორდნენ სამუდამოდ. ერთი ამ ორთაგანი, დავით ურატაძე შარშან ივლისში გარდაიცვალა, ხოლო ამ აგვისტოში ხუთი წელი სრულდება მიხეილ გრიგოლიას გარდაცვალებიდან. ისინი, რომ მხოლოდ ჩემი მეგობრები ყოფილიყვნენ, თქმა არ უნდა, მკითხველებს მათზე ლაპარაკით არ შევაწყენდი, მაგრამ ამასთანავე ისინი იყვნენ ამ გამოცემის მოთავე-თანამშრომლებიც და რაც მთავარია – მღვიე მამულიშვილები, შეძლების მიხედვით ორივემ ღირსეულად მოიხადა მისმისი ვალი, რისთვისაც მათ ეკუთვნით ყველა ჩვენთაგანისაგან ერთად გახსენებაც და მადლობაც.

მიხეილ გრიგოლია

მე ის თამარ რუხაძესთან გავიცანი, ალბათ, *1946* წელში; ღამაზი კაცი იყო, მისი მშობლიური კუთხის, სამეგრელოს ტიპი; მაშინვე სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა, უძნელდებოდა ქარხანაში მუშაობა, თანაც სიყვარულში ახლად ხელმოცარულს, ხშირად მელანქოლია ეუფლებოდა. შემდეგ ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი და დავმეგობრდით მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის გამგეობაში ერთად თანამშრომლობის დროს(*1961-1968*).

სწორედ იმ ხანებში ჩვენ ვზრუნავდით დაგვეარსებია კავშირის ბეჭდვითი ორგანო, არა მარტო ჩვენ ორი, არამედ მთელი გამგეობა: გიორგი ნოზაძე, პავლე სარჯველაძე, ნიკო ყურულიშვილი და განსვენებული ელისე პატარიძე, რომელიც იმ დროს თავმჯდომარე იყო. ჩვენ გვინდოდა გამოცემის პასუხისმგებელი რედაქტორი ყოფილიყო, მაშინ საფრანგეთში ახლად დაბრუნებული, უკვე ცნობილი რუსთველოლოგი და გამოცდილი ჟურნალისტი, აწ განსვენებული ვიქტორ ნოზაძე. ის ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის, უცხოეთში, საპატიო თავმჯდომარედაც ავირჩიეთ. მაგრამ ბატონმა ვიქტორმა არ ინება კავშირის სახელით გამოცემულ კრებულის რედაქტორობა, მან არჩია საკუთრად განეახლებია ომის წინ მის მიერ დაარსებული **„კავკასიონი“** და ჩვენც მას ამ საქმეში ხელი აღარ შევუშალეთ.

ერთი ათეული წლის შემდეგ კვლავ დავინახეთ საჭიროება საერთო ძალებით ხშირი პერიოდულობის მქონე პოლიტიკური გაზეთის გამოცემისა. უკვე ხანდაზმული ვიქტორი რუსთველოლოგიის დარგში კვლევასა და გამოცემას უნდებოდა. მან წაგვაქეზა გამოცემის დაწყების საქმეში, დაგვპირდა მჭიდრო თანამშრომლობას და დახმარებას, მხოლოდ რედაქციაში ვერ შემოვალო, თანაც გვითხრა რედაქციაში უეჭველად შეიყვანეთ ღევან ზურაბიშვილი. ღ. ზურაბიშვილი, მ. გრიგოლიას და ჩემი თაოსნობით, *1973* წლის *11* და *25* თებერვალს, ღევილის ქარ. მამულის საღონში მოვიწვიეთ თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ნოე ცინცაძე, ნიკო ურუშაძე, მირიან მელუა, გიორგი ნოზაძე, პავლე სარჯველაძე, გიორგი ყიფიანი, ნიკო ყურულიშვილი, მიხეილ ქავთარაძე, შალვა კალანდაძე, გრიგოლ ღომაძე და ჩვენ სამი მომწვევი, ვიქტორ ნოზაძე არ დასწრებია, რადგანაც ციურიხში იმყოფებოდა იმჟამად, კრებებს თავმჯდომარეობდა ბატონი ნოე ცინცაძე და მდივნობდა ბატონი მირიან მელუა. ინფორმაცია გააკეთა თქვენმა მონა-მორჩილმა, ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. იყო აზრთა სხვადასხვაობა; საბოლოოდ კრებამ გააკეთა დასკვნა:

1 თათბირში მონაწილენი პიროვნულად ესწრებიან მას და არა როგორც პარტიების ან ორგანიზაციების წარმომადგენლები; *2*. ყველას მიერ აღიარებულ იქნა საჭიროება ემიგრაციის საერთო ძალებით პერიოდული პოლიტიკური ბეჭდვითი ორგანოსი და, რომ ეს ხელს არ შეუშლიდა არსებულ პარტიულ გამოცემებს. *3*. არაა სასურველი, რომ რედაქციაში შედიოდნენ პარტიების ხელმძღვანელები და მათი გამოცემების რედაქტორები. *4*. თათბირი ერთხმად უცხადებს ნდობას გიორგი წერეთელს გამოცემის განხორციელებაში და აღუთქვამს აქტიურ თანამშრომლობას. ამ თანამშრომლობისთვის კრებამ მიიღო და თავისად გაიხადა

ნოე ცინცაძის მიერ შემოტანილი შემდეგი პროგრამა:

ა) ჩვენ ერთი ვართ და ურყევი გადაწყვეტილებაში: რუსეთის წიაღიდან საქართველოს დახსნას, განთავისუფლებას ვემსახუროთ. მისთვის ვიბრძოლოდ მთელი ჩვენი არსებით.

ბ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჩვენი დროშა იყო, არის და იქნება. ის უნდა აღსდგეს, მასში ჩაქსოვილ ადამიანის და მოქალაქის ყველა წმინდათაწმინდა უფლებებით.

გ) განთავისუფლებულ საქართველოში ყოველგვარი ტოტალიტარული რეჟიმი ჩვენთვის მიუღებელია.

თათბირის დასკვნას ხელს აწერენ თავმჯდომარე ნ. ცინცაძე და მდივანი მ. მელუა.

ამის შემდეგ, კოლეგიალური რედაქტორობა ვიკისრეთ იმავე სამმა ინიციატორმა და შევუდექით გამოცემის ორგანიზაციას, რაც შემდეგ იცის მკითხველმა. მიშა გრიგოლიას ხსოვნას ეს ისტორია მიტომ დავუკავშირე, რომ ის განსაკუთრებული დაჟინებით მაგულიანებდა ამ საპასუხისმგებლო საქმის წამოწყებისთვის. ულმობელმა სიკვდილმა არ დააცალა ამაში ჩაექსოვა თავისი ნიჭი და უნარი, მაგრამ სურვილი კი დიდი ჰქონდა.

მიშა გრიგოლია იყო კარგი ჭამა-სმის და ზომიერი ღხინის მოყვარული. მასში უაღრესად იყო განვითარებული სილამაზის ტრფიალი. თვით ქალშიაც უპირველესად ფიზიკურ სილამაზესა და სულიერ სიმშვენიერეს ეძებდა. მისი სულიერი საზრდო იყო პოეზია, თანამედროვე პოეტებიდან ის განსაკუთრებით თაყვანს სცემდა გალაქტიონს, გიორგი(გოგლა) ლეონიძეს და ტიციან ტაბიძეს. მეგობრობაში იყო რბილი, დამთმობი, მცირედზე არ აგიშარდებოდა, მაგრამ პრინციპულ საკითხებში ის ურყევი იყო, ეს ნათლად გამოჩნდა მისსა და განსვენებულ ვასო ლაბაძის შორის, რომელსაც შეცდომა არ აპატია, „სამშობლოს ხმაში" წერილის გამოქვეყნება, და კატეგორიულად მოთხოვა მწერ. კავშირის გამგეობის მდივნობიდან გადადგომა. აძავე პრინციპულობით აიხსნება ალბათ ისიც, რომ მან სამშობლო დათმო და გადმოხვეწილის მძიმე ჯვარი ატარა. მას განსაკუთრებული, ქალური სინაზით უყვარდა ოჯახი, ნათესავები, მშობლიური სამეგრელო, ხოლო საქართველოსთვის სიცოცხლეც სწყუროდა და თავსაც გასწირავდა.

დავით ურატაძე

დათიკო ჩემი თაობის და კატეგორიის ემიგრანტი იყო. მასაც ომის შედეგად მოუხდა სამშობლოს დატოვება. ემიგრაციაში ის თავიდანვე ჩადგა აქტიურ ეროვნულ პოლიტიკურ ემიგრანტთა რიგებში, რადგანაც მას შეგნებულად სწამდა მათი პატრიოტული იდეალი. მისი ბიძა იყო გამოჩენილი რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატი და პოლიტიკური მოღვაწე გრიგოლ ურატაძე, ალბათ აქიტომ თავიდან ემიგრაციის მემარცხენე წრეს ეკუთვნოდა, მაგრამ სოციალისტური პარტიის წევრი არასოდეს არ გამხდარა, რადგანაც მისთვის მთავარი იყო სამშობლოს განთავისუფლება, რაც საერთოა ყველა ეროვნულ პარტიებისთვის. ამის გამო დათიკოს ყველა პარტიაში ჰყავდა მეგობარი.

დღიდან მიუნხენში რადიო „თავისუფლების" დაარსებისა(*1953* წლის იანვრიდან) დათიკო, რაჟდენ არსენიძესთან ერთად, პარიზიდან იქ გადავიდა სამუშაოდ, სადაც ის სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე მოღვაწეობდა. ის გულისყურით აკვირდებოდა სამშობლოდან მოსულ ამბებს, ხშირად ინტუიციითაც გრძნობდა მის ტკივილებს, ეხმაურებოდა, როგორც პოლიტიკურ, ისე ხელოვნებისა და ლიტერატურის საჭირბოროტო საკითხებს და მის რადიო გადაცემებს ყოველთვის ახასიათებდა საკითხის ცოდნა, ობიექტურობა, აზრის გამართულობა და საკმაოდ მაღალი ინტელექტი.

როგორც ემიგრაციის პოლიტიკურ ერთობის საჭიროების და აუცილებლობის საკითხში, ისე სამშობლოში მიმდინარე მოვლენების გაგების, შეფასების და ჩვენი რეაქციის შესახებ, ჩვენს შორის მუდამ არსებობდა ერთმანეთის გაგება და სრული თანხმობა. მისმა უდროო სიკვდილმა ადრე დააქვრივა მისი ახალგაზრდა მეუღლე, გულნარა პატარიძის ასული, უზომოდ დაამწუხრა ნათესავები და უამრავი მეგობრები, ისედაც უწყალოდ შეთხელებულ ემიგრაციის რიგებს, ქართულ საქმიანობას უცხოეთში გამოაკლო ერთი აქტიური და შეგნებული მებრძოლი.

გიორგი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

† მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

აგვისტოს დასაწყისში, ხანდაზმულობის ასაკში გარდაიცვალა ქალბატონი **ლიდია დონდუა.** განსვენებული იყო სათნო, თავდაბალი, სტუმართმოყვარე, კეთილი და სამაგალითო ოჯახის დედა, განსახიერება ქართველი ქალისა. ლეგენდურია მისი ამბავი, თუ სულ ახალგაზრდა ქალმა, ოთხი ერთმანეთზე პატარა ვაჟით, როგორ გადმოლახა საბჭოთა საზღვარი და შეუერთდა უკვე გადმოხვწილობაში მყოფ საყვარელ მეუღლეს.

შემდეგ, სრულიად ახალგაზრდათ დაქვრივებულმა მანდილოსანმა ღირსეულად ატარა ლეჩაქი და სამშობლოს გამოუზარდა შვილები; როცა ის თავის ოთხ ვაჟთან ერთად და შვილიშვილებით გარშემორტყმული საზოგადოებაში გამოვიდოდა, ნამდვილი ძველი ქართული ოჯახი წარმოგიდგებოდათ, საფრანგეთში გადმონერგილი.

ხუთი წლის წინად, სწორედ ასევე აგვისტოში მან დაჰკარგა ერთი ვაჟთაგანი— **ლევანი.** მის შემდეგ ის დარდმა და გლოვამ მოიცვა და სწორედ ხუთი წლის თავზე მან კიდევაც მოისვენა სამუდამოდ ლევილის მიწაში, საყვარელ ქმრისა და შვილის გვერდით, *10.8.1979* წელში. საუკონო იყოს განსვენებულის ხსენება! **მის უნუგეშო ჰირისუფალთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი.**

„საჭირო გასწორების“ გასწორება

„ივერიის“ უკანასკნელ, *21* ნომერში ჩემმა მეგობარმა და პატივცემულმა მიხეილ ქავთარაძემ მკაცრად დაიწუნა, შეიძლება ვთქვათ დაგმო „თ.ტ.“ №*24*-ში გამოქვეყნებული წერილი „*1500* წლის წინანდელი გაკვეთილი“. არავის ეგონოს პოლემიკა მწყენდეს. არა, პირიქით! მეგობრულ პაექრობას რა ჯობია, მაგრამ გამაკვირვა მ. ქავთარაძის სიმკაცრემ და მრისხანებამ, თითქოს ზევსი იყოს ოლიმპის მთიდან მეხთა მტყორცნელი, რომელსაც აზრადაც არ მოსდის: ხომ შეიძლება ისიც ცდებოდეს? ის მართლაც უშვებს ამ წერილში ბევრ შეცდომებს, ჩემი გაგებით, და ზოგიერთი ძალიან მარცხიანიცაა. განვიხილოთ დაწვრილებით:

1. თუმცა ჩემ წერილში გარკვევით მაქვს ნათქვამი, რომ მე „შუშანიკის წამების“ შინაარსის ინტერპრეტაციაში ვეკამათები სომეხ და ქართველ აკადემიკოსებს და არა მის დაფასებაში, მ. ქავთარაძე მაინც ბრალს მდებს ვითომც მე სათანადოთ ვერ დავაფასე დედოფალ შუშანიკის მარტვილობა. მაშ რაღაა ჩემი წერილის შესავალი და მისი უდიდესი ნაწილი თუ არა აღიარება და თაყვანება, როგორც ნაწარმოების, ისე მისი მთავარი გმირის წმინდა და ნეტარი შუშანიკისა და მათი დიდი ეროვნული მნიშვნელობისა. განსხვავება ჩემსა და ბატონ მიხეილს შორის მხოლოდ იმაშია, რომ ჩემთვის ნაწარმოებში ყველაფერი ქართულია, მაშინ როცა „ივერიის“ რედაქტორს სომეხი და ქართველი, სომხური და ქართული ერთიერთმანეთისთვის ვერ განუსხვავებია.

2. მ. ქავთარაძეს ჰგონია, რომ იაკობ ცურტაველის მოთხრობის საიუბილეო საზეიმო სხდომის დროს ქართველი და სომეხი აკადემიკოსები „ქართულ—სომხურ საქმეს აკეთებდნენ რუსების ცხვირის წინ და, რომ ჩვენ მათ ამაში ხელი არ უნდა შევუშალოთ.“ მართლაც ასე იყო ეს? რა თქმა უნდა, რომ არა! ძალიანაც, რომ სურვებოდათ ამას ვერ გაბედავდნენ. საქმე სულ სხვანაირად იყო: საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით და პრაქტიკითაც დაუშვებელია რელიგიური ხასიათის ნაწარმოების ქება და რელიგიისათვის წამებულთა სამაგალითოდ გამოცხადება, ამიტომ ქართველი და სომეხი აკადემიკოსები ხმაშეწყობით ღაღადებენ: იაკობ ცურტაველის ნაწარმოები ჰუმანისტურია, პატრიოტულია და ამავე დროს სხვა ხალხებისადმი, კერძოდ სომეხი ხალხისადმი ნამდვილ სიყვარულს ავლენსო, რაც რეჟიმის ოფიციალური ტერმინის გაცვეთილი განმეორებაა და რაც ნაწარმოებიდან სრულებითაც არ გამომდინარეობს. მე რომ ეს ვუთხრა მათ და ნაწარმოების სწორი ინტერპრეტაცია მივცე მკითხველებს ნუთუ „ეს არც ლანაზია არც წესიერია, არც დასაშვებია“, როგორც ამას წერს მ. ქავთარაძე?

მე ვხედავ მ. ქავთარაძეს თავზარსა სცემს აკადემიკოსის წოდება. მე რომ აკადემიკოს ევ. ხარაძეს ასტრონომიის საკითხებში შევეკამათო ან აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს ისტორიაში, მაშინ ეს მართლაც არ იქნება მართებული, მაგრამ ლიტერატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ნაწარმოების გარჩევის, პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და სხვა ამისთანა საკითხების შესახებ თუ ჩვენ მათ კამათი ვერ გავუბედეთ, რადგანაც ჩვენ მათ შესატყვისი ტიტული არ გაგვაჩნია, მაშინ ჩვენ გლეხებისა და მუშების გარდა ვერავინ ვერ უნდა გავუბედოთ სიტყვის შებრუნება, რადგანაც ჩემი და მ. ქავთარაძის სოციალური მდგომარეობა მათზე მაღალი არ არის.

3. როგორც მოგახსენეთ ჩემს სტატიაში მე შემოვიფარგლე ნაწარმოების გარჩევით და ისეთი დასკვნების გაკეთებით, რომელთაც საჯაროდ საქართველოში ვერ გააკეთებენ, მიუხედავად სურვილისა. მე განგებ არ შევაწყინე მკითხველი ისტორიის მოყოლით, რადგანაც უკეთესს და უახლესს ვერაფერს ვიტყოდი იმასთან შედარებით, რაც სამშობლოში დაიწერა იმ დღესასწაულის დღეებში. მაგალითისათვის შემიძლია დაგისახელოთ ქალბატონ **მარიამ ლორთქიფანიძის** შესანიშნავი სტატია „ეპოქა, როცა იწერებოდა“ *1978* წ. *10* დეკემბრის გაზ. „კომუნისტში“,რომელშიც, სხვათაშორის, სიტყვაც არ არის ქართველების და სომხების მხარდამხარ ბრძოლაზე, როგორც ამას მ. ქავთარაძე წარმოგვიდგენს.

აქ მაინც იძულებული ვარ მოკლედ ვიღაპარაკო ისტორიის იმ საკითხებზე, რომლებსაც მ. ქავთარაძე შეეხო და, რომლებიც განსაკუთრებით მცდარნი არიან და მიუღებელნიც.

მართალია, როცა მ. ქავთარაძე ბრძანებს: „ქართულ-სომხურ ურთიერთ დამოკიდებულებას *2500* წელზე უგრძესი ისტორია აქვს. ამ ორი ერის ისტორია დასაწყისიდან დღემდე კავკასიაში პირველობისთვის ქიშპობის ისტორიაა“-ო. ეს ქიშპობა განსაკუთრებით სამკვდრო-საცოცხლო იყო ჩვენი ორი ერის ფორმაციის დასაწყისში, მესამე-მეოთხე საუკუნეებში ქრისტეს წინ, როცა სელევკიდების მძლავრ სახელმწიფოს დამხობის შემდეგ, წინა აზიაში იქმნება ორი სომხური სახელმწიფო დიდ და პატარა სომხეთად წოდებული. ეს სახელმწიფოები ნელნელა მოიწევენ ამიერკავკასიისკენ, იპყრობენ იქ მოსახლე ქართულ ტომებს, აწარმოებენ მათ ასიმილაციას, ემუქრებიან კოლხეთის, ქართლის და აღბანეთის სახელმწიფოთა არსებობას. ეს მუქარა განსაკუთრებით საშიში იყო ქართლისათვის მეორე საუკუნეში ქ.წ., როცა სომხეთის მეფე ტიგრან დიდმა და პონტოს მეფე მითრიდატმა კოალიცია შექმნეს რომის წინააღმდეგ. იმ ხანებში სომხეთმა დიდძალი მიწაწყალი წაართვა ქართლს, მათ შორის ჰერეთი, კახეთი და ქვემო ქართლი. მაშინ, როცა იმავე საუკუნის დასაწყისში ბერძენ აპოლოდორის მოწმობით სომხებსა და იბერებს შორის საზღვარი მდინარე არეზი ანუ არაქსი ყოფილა და მაშასადამე მოსახლეობა მდინარე არაქსა და მტკვარს შორის იბერები ანუ ქართები იყვნენ. მ. ქავთარაძეს ჰგონია, რომ ამის შემდეგ ხუთი საუკუნის განმავლობაში ეს ქართლის სამეფოს მიწა-წყალი, გოგარენი, სომხურად გუგარქა, მუდმივად სომხებს ეკავა და იქ მცხოვრებნი სულ სომხები ან გასომხებული იყვნენ. ეს მართალი არ არის. ჯერ ერთი, სომხეთის მძლავრი სახელმწიფო მაღე დაამარცხეს რომაელებმა, ქ.წ. პირველ საუკუნის ნახევარში, რის შემდეგაც ქართლის სამეფო თანდათან ძლიერდება, პირველ საუკუნის ბოლოს და მეორის დასაწყისში ქ. შემდეგ იბერია კავკასიის უმძლავრესი სახელმწიფო ჩანს, ფარსმან მეფის დროს სომხეთსაც იპყრობს და იქ ჯერ თავის ძმას და შემდეგ შვილს, რადამისტს გაამეფებს. შეუძლებელია, რომ იმ დროს სომხებს ქვემო ქართლი სჯეროდათ. ე.ი. გოგარეთ-გუგარქა ხუთი საუკუნის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა და *349* წელს ის საბოლოოდ შემოიერთა ქართლის სამეფომ. მეორე, როცა ლაპარაკია ენის გავრცელებაზე, ეს გულისხმობს სახელმწიფო ენას და არა ეთნიურს. სომხების ბატონობის დროს ქართლის საპიტიახშოში სახელმწიფო ენა იყო სომხური, მაგრამ იქ მცხოვრები ქართები ქართულს ლაპარაკობდნენ, როცა მას ქართლის სამეფო ეპატრონებოდა სახელმწიფო ენადაც ქართული ხდებოდა. აღბათ ამას გულისხმობს მ. ქავთარაძის მიერ მოყვანილი ცნობა. მაინც გასაკვირი იქნება ქართული ენა შემოეღოთ ცურტავის თემში, რომელსაც ქართლი უწყვეტად ჰფლობდა უკვე ორი საუკუნის განმავლობაში.

არც ქართლის პიტიახშების სპარსელობაა დამტკიცებული, შესაძლებელია მათი წინაპარი ყოფილიყო აქემენიდების გვარის ჩამომავალი, მაგრამ, თუ ასეა, ისინი სრულიად გაქართველებულნ, ვარსქენ პიტიახში, მისი მამა არშუშაც, ძმაც ჯოჯიკი და მთელი მისი ოჯახიც, რომ ქართველი ქრისტიანები იყვნენ, ეს ცხადად ჩანს „წმინდა შუშანიკის“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობიდან. სომეხ ისტორიკოსების, მოსე ხორენელის და ფავსტო ბუზანდის, დიდ ... ვლენა ჩანს მ. ქავთარაძის წერილში, მათი ცოდნა საჭიროა, მაგრამ ფრთხილად უნდა ... ეკიდო, რადგანაც ისინი ძალიან დიდ სომხურ მიკერძოებას იჩენენ. თვით „ქართლის ცხოვრებაშიაც" უხვად არის გადატანილი მათი მცდარი აზრები. თუ გნებავთ ჰაოსის უფროსობის მითი შეთხზულია, როცა ამიერკავკასიაში სომხების ჰეგემონია სუფევდა და შემდეგ ის „ქართლის ცხოვრებაშიც შეიპარა. სომხური ზღაპარი, მათი კულტურული უმაღლესობისა, ჩვენში სარგის კაკაბაძემაც და კორნელი კეკელიძემაც გაიმეორეს, რომ აეხსნათ ფაქტი ქართლის უწინარეს გაქრისტიანებისა კოლხეთზე, მაგრამ იგი უკუაგდო და გააბათილა ივანე ჯავახიშვილმა. ეს არც ძნელი იყო მისთვის ისეთი მოწმის შემდეგ, როგორც სტრაბონია, რომელიც იბერიას აღწერს, როგორც მჭიდროდ დასახლებულს, მდიდარს, მიწის მუშას და განვითარებულ ქვეყანას და, რომ ბარის იბერები კულტურულად, სოციალურად და თვით მოკაზმულობით მსგავსნი იყვნენ მიდიელების და სომხების. მ. ქავთარაძე კი დაბეჯითებით გვარწმუნებს: „საერთოდ უნდა ვიცოდეთ, რომ მაშინდელი ქართლი ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა სომხეთს–კულტურულად და სახელმწიფოებრივ განვითარებითაც." მაშინ, როგორ აიხსნას, რომ ამ „კულტურულად და სახელმწიფოებრივად ჩამორჩენილმა ქვეყანამ გააერთიანა მთელი საქართველო, რომელშიც შევიდნენ ისეთი დაწინაურებული კუთხეები, როგორც ტაო, კლარჯეთი და კოლხეთ-ეგრისი, მისცა მას თავისი ენა და სახელმწიფო წყობილება, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა და ჩამოყალიბდა მეცხრე-მეცამეტე საუკუნეების მძლავრი და კულტურული ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო?

სტრაბონის მოწმობა დასტურდება ქართლში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით, ასურეთის და განსაკუთრებით ურარტუს ლურსმული წარწერების კითხვით. ამ ახლად აღმოჩენილ მასალების და კლასიკური ქართულ-სომხურ-ელინურ-რომაულ წყაროების შედარების შედეგად საინტერესო და სერიოზული ნარკვევი გამოაქვეყნა რუსულ ენაზე *1959* წელს გიორგი მელიქიშვილმა: „კ ისტორიი დრევნეი გრუზიი", რომელიც მ. ქავთარაძის მტკიცების სასარგებლოდ არ მეტყველებს.

გიორგი ქართველი

--- --- --- --- ---

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„ივერიის" უკანასკნელ ნომერში, მაისი. *79* წელი, დაიბეჭდა მიხეილ ქავთარაძის წერილი „გვებრალებოდნენ გლახაკნი სულითა", რომელმაც სამართლიანი გულის წყრომა გამოიწვია სოციალ-დემოკრატებში. როცა ეს წერილი იბეჭდება ჯერ კიდევ უცნობია მათი ოფიციალური, საჯარო გამოძახილი. ჩვენ, ჩვენი მხრით, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი განვაცხადოთ: ტკივილები, რამაც მ. ქავთარაძეს ეს წერილი დააწერია ჩვენი ქვეყნის ამბებით და ემიგრაციის სავალალო მდგომარეობითაა გამოწვეული, ამიტომ მისი გულისტკივილი და აღშფოთება გასაგებია. ეს წერილი მღვიძ პატრიოტის და მამულისთვის გულშემატკივარი დევნილი - სგანაა დაწერილი და ატორის შეცდომებიც ამისდა მიხედვით უნდა განისაჯოს.

სტატია მთლიანად აღებული პოლიტიკურად სუსტია. ის ყველაფერს ერთმანეთში ურევს: *1900*-ანი წლების ამბებს, დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მის დაკარგვას, ემიგრაციის გათიშულობას ადრე და ჩვენს დღევანდელს საჭირბოროტო საკითხებს. ხომ არ შეიძლება დამოუკიდებელ საქ. მთავრობის ცოდვები პ. სარჯველაძეს და ვ. ხომერიკს დაბრალდეთ, ან პირიქით ამ უკანასკნელების დღევანდელი მოქცევის პასუხისმგებლობა ცხრაასიან წლების სოციალისტ ლიდერებს დავაკისროთ? ამავე დროს, მ. ქავთარაძის წერილში მარცხიანი გამოთქმებია. ჩვენს შორის დაუშვებელია დამამცირებელი ეპითეტები, განსაკუთრებით მთელი პარტიის მიმართ. მ. ქავთარაძე ამას მაშინვე მიხვდა და წერილით მიმართა „ჩვენი დროშა".ს რედაქტორს ბ. პ. სარჯველაძეს, რომელშიც ის ბოდიშს იხდის ამ გამოთქმებისთვის და, რომ მას არავის გაღანძღვა არ უნდოდა, არამედ ეს მოხდა მის უნებურად. აქედან გამომდინარე, იმ ბოდიშის და გასწორების წერილის შემდეგ ეს სამწუხარო ინციდენტი უნდა ამოიწუროს. ის ვინც ამ შემთხვევას ხელზე დაიხვევს და შეეცდება მტრობის გაღვივებას მხარეებს შორის, ის მტერი იქნება ეროვნულ ემიგრაციისაც და სამშობლოს განთავისუფლების საქმისაც.

თავისუფლების ტრიბუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტ მუხრან მაჭავარიანის 50 წლისთავზე

მუხრან! (მიძღვნა)

შეგისრულდა ორმოცდაათი,–კიდევ ამდენი.
შენ დუნიაზე აირჩიე ქართლის ქალები.
მაინც ის სატრფო სულ სხვა არის,
ვითარც აკაკის.
გულს გამეწონა ეგ ისარი შენი არაკის.

სისხლი ბობოქრობს შენს ძარღვებში მამაპაპური,
დამაჭრებული, დაწძენდილი, როგორც კახური.
არც ერთი წვეთი იქ არ არის არაქართული.
ღმერთმა გიკურთხოს ვაუკაცობა და ეგ ჩანგური!

იმერელი

მუხრან მაჭავარიანის 4 ლექსი

მარტო იმიტომ

სიტყვებს, წინაპართ მიერ გახედნილთ,
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ,
შობილთ კლარჯეთით, ქართლით, კახეთით,
ერთად შეკრიბა რომელნიც საბამ;

ვეაღერსები, ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.

მადლი იმ ზართა

რაც კი ზარია შემოკრული დღემდე აღავერდს,
მადლი იმ ზართა შეწეოდეს მეზვრე მანაველთ,
მეზვრე ჩუმლაყელთ, მეზვრე შიღდელთ,
მეზვრე ახმეტელთ!
მე, ვინაიდან ღვინოებში კახურს ვაღმერთებ.
რაც კი ზარია შემოკრული აქამდე ყინწვისს,
მადლი იმ ზართა შეწეოდეს ტურფაა ვინც კი:

მროელთ, არბოელთ, მცხეთელთ, კასპელთ,
გორელთ აგრეთვე!
მე, ვინაიდან ქალთა შორის ქართველს
ვაღმერთებ.
რაც კი ზარია შემოკრული საერთოდ სადმე,
მადლი იმ ზართა შეწეოდეს ყველა ნაღდ
ქართველს;
ჰყვაოდეს ქართლი, იმერეთი, ფშავი, კახეთი!
მე, ვინაიდან დუნიაზე მამულს ვაღმერთებ.

შენ, სისხლო ჩემო!

შენ, სისხლო ჩემო,–სად არ დაღვრილო...
შენ–სად არ გზვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს, რომ გაგაკვირვოს,–
ნადიდგორაღი, ნაშამქორაღი.
შენ, სისხლო ჩემო,–შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია;
სვეტიცხოველი... ხანძთა... ვარძია
და ისიც რაც მტერს წარუტაცნია...

შენ, სისხლო ჩემო,–შენი დინება
„ვეფხისტყაოსნით“ ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა, რომელიც გეჩოთირება–
ვცდილობ გაშორო რაც შემიძლია...
შენ, სისხლო ჩემო,–სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ, საბედნიეროდ,–
ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ!

* * *

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან გულში ღიმილით ვიტყვი:
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გიღხინს თუ გიჭირს!
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!

ანდა რომელი მსაჯული მისი!
პასუხად მყისვე, ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ,
იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად:
ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!

1963

შეცდომის გასწორება: ამის წინა ნომერში, ქ. სოშოდან მიღებულ ინფორმაციის თანახმად, დავბეჭდეთ, სხვათაშორის, პ. სარჯველაძემ, დამოუკიდებლობის დღესასწაულზე საკუთარი ლექსი წაიკითხა თქვა. ბ. პავლე გვატყობინებს, რომ მას იქ არავითარი ლექსი არ წაუკითხავს.

--- --- --- --- ---

შემოწირულებები ერთად გამოცხადდება მომავალ ნომერში.

DIRECTEUR: GEORGES TSERETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL: 607.08.14